გვზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№24 (1566) 14 — 20 ივლისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ლექსოსთვის ანუ დღე, რომელმაც მომავალი შეცვალა

„ვერსია“ თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს და ქართულ მედიას ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების გამო

ჟურნალისტური გამოძიება

სკანდალური საიდუმლო სქემა, რომლითაც „ფილიპ მორისი“ ექიმების, პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების მოსყიდვას ცდილობს!

ქართველმა „კანონიერმა ქურდმა“ პასპორტი... შეჭამა!

რა მოხდა ბორისპოლის აეროპორტში და რატომ ცხოვრობს „ავთო კოპალა“ დღემდე ავიალაინერში

SOS! — სამთავროს დედათა მონასტერი საფრთხეშია!

ვახტანგ გომელაური საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

ვახტანგ გომელაურმა ელჩებთან შეხვედრაზე დეტალურად ისაუბრა 1, 3, 5 და 6 ივლისს, თბილისში განვითარებულ მოვლენებზე. კერძოდ, შინაგან საქმეთა მინისტრმა სტუმრებს გააცნო „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ფარგლებში, სამინისტროს მიერ, მოქალაქეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებისა და მათი უსაფრთხოების დაცვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები.

ვახტანგ გომელაურმა, ასევე, ისაუბრა 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეთა აქციის დროს, მასმედიის სხვადასხვა წარმომადგენლის – ოპერატორებისა და ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისა და მათ მიმართ ჩადენილ ძალადობის ფაქტებზე. შინაგან საქმეთა მინისტრმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს დეტალურად გააცნო აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგები და ამ ეტაპზე არსებული ვითარება. მან აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად დაისჯება ყველა ის პირი, ვისი დანაშაულებრივი ქმედებაც გამოიკვეთება გამოძიების ფარგლებში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვრცლად ისაუბრა 11 ივლისს, ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორის, ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტზე, პოლიციელების მიერ განხორციელებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შესახებ. როგორც ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, გარდაცვალების უშუალო მიზეზის დასადგენად, დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელშიც ჩართულია დამოუკიდებელი ექსპერტი.

შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, სამინისტრო განაგრძობს აქტიურ საგამოძიებო და საპროცესო ღონისძიებებს და უწყება პერიოდულად მიაწვდის საზოგადოებასა და დიპლომატიურ კორპუსს განახლებულ ინფორმაციას.

პოლიციამ 5 ივლისს, თბილისში გამართულ აქციაზე, ჟურნალისტებზე თავდასხმის, დევნასა და ჯგუფურ ძალადობის ფაქტებზე კიდევ 4 პირი დააკავა და ერთ პირს ბრალი წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე კიდევ 4 პირი დააკავეს, ერთ პირს კი ბრალი წარედგინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 5 ივლისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, ბრალდებულმა, 1991 წელს დაბადებულმა რ.კ.-მ, ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტს, პროფესიულ საქმიანობაში ხელი შეუშალა და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ბრალდებულმა, 1985 წელს დაბადებულმა გ.ნ.-მ, „იმედის“ ოპერატორს, ამავე დღეს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და ხელი შეუშალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში.

ბრალდებულმა, 1985 წელს დაბადებულმა თ.ბ.-მ, აქციის მიმდინარეობისას, ტელეკომპანია „ფორმულას“ ფოტოკორესპონდენტს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და ხელი შეუშალა პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.

ბრალდებულმა, 1984 წელს დაბადებულმა გ.კ.-მ, ვაკეში, მრგვალი ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

კიდევ ერთ პირს, ც.ჩ.-ს, ბრალი საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორზე ძალადობის ფაქტზე წარედგინა. რომელიც 8 ივლისს დააკავეს, ორგანიზაცია „სირცხვილიას“ ოფისში, ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ჟურნალისტისა და ოპერატორსთვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2, 156-ის მე-2 ნაწილის „ა“ და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-დაკავების მიზნით, გრძელდება საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები.

შსს-მ გარდაცვალებამდე ალექსანდრე ლაშქარავას გადაადგილების ვიდეოკადრები გაასაჯაროვა

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ვასაჯაროვებთ ალექსანდრე ლაშქარავას გადაადგილების ამსახველ ვიდეომასალებს, რომელიც გამოძიების მსვლელობისას, ამ ეტაპზეა მოპოვებული.

გადაადგილების მარშრუტი შედგენილია გარე ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების დათვალიერების შედეგად, რომელიც დადასტურებულია მოწმეთა ჩვენებებით. „ტელეკომპანია პირველის“ ოპერატორი, ალექსანდრე ლაშქარავა, მიმდინარე წლის 10 ივლისს, 15:28 სთ-ზე, მოპედით ტოვებს საცხოვრებელ მისამართს. 15:31 სთ-ზე, მეგობართან ერთად შედის ბახტრიონის ქუჩაზე, ერთ-ერთ აფთიაქში. აფთიაქიდან გამოსვლის შემდეგ იწყებს გადაადგილებას ფონიჭალის დასახლების მიმართულებით, სადაც ფიქსირდება 16:31 სთ-ზე.

აღნიშნულის შემდეგ, ფონიჭალიდან მოდის ორთაჭალაში და მოგვიანებით, 19:41 სთ-ზე, ისევ ბრუნდება ფონიჭალაში, საიდანაც გადაადგილდება „დედა ენის ბაღის“ მიმართულებით, სადაც დაჰყო გარკვეული პერიოდი, ხოლო 00:10 სთ-ზე, ბრუნდება საბურთალოს ტერიტორიაზე, საცხოვრებელ მისამართზე, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში.

მისი დაბრუნების კადრები, ასევე, ასახულია საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ განთავსებულ გარე ვიდეო-სამეთვალყურეო მოწყობილობებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს აქტიურ საგამოძიებო და საპროცესო ღონისძიებებს. გრძელდება ყველა იმ პირის გამოკითხვა და იმ ტექნიკური საშუალებების დათვალიერება, რომელიც შესაძლოა გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაციას ინახავდეს.

მომხდარ ფაქტზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, გამოძიებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგებს. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრო პერიოდულად მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

პოლიციამ ბათუმში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად,1991 წელს დაბადებული ზ.კ. დააკავეს. მას ძალადობასა და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაში ედება ბრალი. დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 9 ივლისს, ბათუმში, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1967 წელს დაბადებულ ს.ა.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ხოლო იმავე ტერიტორიაზე მყოფი 1986 წელს დაბადებული გ.შ., ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. პოლიციამ ზ.კ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა. ძალადობისა და ჯანმრთელობის განზრახ, ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 126-ე და 118-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ლექსOSთვის ანუ დღე, რომელმაც მომავალი შეცვალა

ნინო დოლიძე

„მონებო, მონებო“-ს, „გადადექი, გადადექი“-სა და „მკვლელებო, მკვლელებო“-ს ძახილის მეტი რა გვინახავს, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, ჩვეულებრივი კოშმარია. კოშმარია იმიტომ, რომ მავანთა პოლიტიკურ თამაშებს ახალგაზრდა ადამიანი ემსხვერპლა. დიახ, „ტვ პირველის“ ოპერატორის, ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალება მხოლოდ ხელისუფლების, ან მხოლოდ ოპოზიციისა თუ რომელიმე სამოქალაქო ჯგუფის კი არა, მთელი პოლიტიკური ელიტის კისერზეა! დიახ, ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა პოლიტიკურმა და სამოქალაქო ისტებლიშმენტმა ერთნაირად უნდა აიღოს! რატომ? – იმიტომ, რომ იმის აღკვეთა, რაც 5 ივლისს, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის „მზიურ“ დედაქალაქში ხდებოდა, ჩვეულებრივი ბარბაროსობა იყო, მაგრამ იმისთვის, რომ ყველაფერი ეს არ მომხდარიყო, არავინ არაფერი გააკეთა!

სისხლიანი ივლისის ანატომია

მეტიც, ხელისუფლებამ ცეცხლზე ერთგვარად ნავთი დაასხა, როცა თქვა, რომ „ღირსების მარშის“ ჩატარებას მხარს არ უჭერდა.

ცეცხლზე ნავთი ოპოზიციამაც დაასხა, რადგან იგივე 5 ივლისს, როცა შუა რუსთაველზე, ვიღაც გაურკვეველი ადამიანები ჟურნალისტებზე ნადირობდნენ, გაყურსული იყო.

ცეცხლზე ნავთის დამსხმელის როლში გამოვიდა არასამთავრობო სექტორიც, რადგან ზემოხსენებულ ბარბაროსობას მხოლოდ განცხადებებით გამოეხმაურა და იგივე სახალხო დამცველს აზრადაც არ მოსვლია, ქუჩაში გასულიყო და ბრბოს ალყაში მოქცეული მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს, ამბრაზურასავით გადაფარებოდა!

ჰო, სიმართლე მწარეა, მაგრამ ყველა ზემოხსენებულ ინსტიტუციას გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა რომ გამოეჩინა, დღეს ლექსო ლაშქარავა ცოცხალი იქნებოდა. ცოცხალი იქნებოდა იმიტომ, რომ გამხეცებული ადამიანები, რომლებიც 5 ივლისს, თბილისის ქუჩებში, „ქართველობისა“ და უფლის დაცვისთვის დაძრწოდნენ, ვერ გაბედავდნენ, რომ ვინმესთვის, თუნდაც პანჩური ამოერტყათ, მაგრამ დღეს, როცა ეს ჯოჯოხეთი უკვე წარსულია და დასკვნების გამოტანაც მეტ-ნაკლებად საღი გონებით შეიძლება, თვალნათლივ იკვეთება, რომ ბრბო წახალისებული იყო. წახალისებული იყო ყველასგან და იმის გარანტიაც ჰქონდა, რომ „უპარდონოდ“, „მამალ ბუზსაც“ ვერავინ აუფრენდა, მაგრამ ყოველთვის ყველაფერი გეგმის მიხედვით არ ხდება და ახლაც, სამწუხაროდ, მოვლენები დაუგეგმავად განვითარდა – სრულიად უდანაშაულო ბიჭი, რომელიც 5 ივლისს, უბრალოდ, საკუთარ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა, უსასტიკესად სცემეს და თავდასხმიდან მეექვსე დღეს, საკუთარ სახლში გარდაიცვალა!

როგორც ამბობენ, ლექსოს მხეცურად 20-მდე ადამიანი სცემდა, თუმცა ამ დროისთვის, მხოლოდ ერთი, ვინმე დავით კუტალაძეა დაკავებული. ეს ის დავით კუტალაძეა, რომელიც სიყმაწვილეში „ლიბერალი“ იყო. ყოველ შემთხვევაში, თურმე, ფერად ტანსაცმელსაც იცვამდა და ლიბერალური ტელევიზიების გასართობ შოუებშიც მონაწილეობდა, მაგრამ დღეს ის „ჩვეულებრივი“ ორკია, ორკი, რომელიც ლექსოს მხეცურად ცემის შემდეგაც, „ფეისბუქში“ გულზე მჯიღს იცემდა და გაჰყვიროდა, ორგანიზაცია „არწივი“ უნდა შევქმნა, აი, დააკვირდით, „არ წივისო“...

ჰო, დღეს, „ორკები“ აღარ „წივიან“. სამაგიეროდ, წივის სიმართლე, სიმართლე, რომელიც იმთავითვე ნათელი იყო – ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, ისე იცხოვროს და ისე ჩაიცვას, როგორც თავად მოსწონს და, სხვათა შორის, ეს უფლება მხოლოდ კონსტიტუციით კი არ აქვს გარანტირებული, არამედ, უფლისგანაც!

დიახ, ქრისტიანობა სიყვარულისა და მიტევების რელიგიაა და არა – ის, რასაც „ორკები“ და მათი „სულიერი მოძღვრები“ გვიკიჟინებენ!

ისე, მთელ ამ უბედურებაში, თავისი წილი ცოდვა ეკლესიის ადმინისტრაციას, ესე იგი, საპატრიარქოსაც და განსაკუთრებით, ცალკეულ რიგით თუ გავლენიან სასულიერო პირებსაც მიუძღვით. აი, იმათ, რომლებიც ამბიონიდან ამბობენ, რომ ქრისტეს სახელით ძალადობა გამართლებულია!

სხვათა შორის, ჩვენ რომ წესიერ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ, გურამ ფალავანდიშვილს, რომელიც მთელი ამ აპოკალიფსის მთავარ რეჟისორად მოგვევლინა, ლექსოს გარდაცვალების მერე მაინც დააკავებდნენ. არადა, ფალავანდიშვილი, რომელიც ქართველობასაც „ცეცხლითა და მახვილით“ იცავს, წესით, 4 ივლისსვე უნდა მოხვედრილიყო გისოსებს მიღმა.

რატომ? – იმიტომ, რომ ღიად განაცხადა, შესაძლოა, ხვალ, ესე იგი, 5 ივლისს, მსხვერპლი იყოსო ანუ რა გამოდის? – ვინმეს მოკვლა სცენარით იყო გათვალისწინებული?!

თუ ასეა, მაშინ ეს ის ვითარებაა, რომელზეც ამბობენ ხოლმე, მიზანმა საშუალება გაამართლაო, მაგრამ რა იყო მიზანი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ვერსიით შეიძლება. ეს ვერსია კი ასეთია:

სისხლი, ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში, დრამატულია ანუ ნებისმიერი ადამიანი, ყველაზე უემოციოც კი, სისხლზე იძაბება. შესაბამისად, მასობრივი აქციების დროს, სისხლი საპროტესტო მუხტს მაღლა სწევს. ასე იყო, მაგალითად, 20 წლის წინაც, როცა იმდროისთვის ყველაზე რეიტინგული ჟურნალისტი, გიორგი სანაია მოკლეს.

მაშინაც არსებობდა ვერსია, რომ სანაიას მკვლელობა ვიღაცებს პოლიტიკური მუხტის ასაწევად აწყობდათ. პრინციპში, ასეც მოხდა – სანაიას მკვლელობის გამო, ქუჩაში უამრავი ხალხი გამოვიდა. მოგვიანებით, „რუსთავი 2“-ში უშიშროება შევიდა. ხალხი ისევ ქუჩაში გამოვიდა და ყველაფერი ეს, იმით დასრულდა, რომ პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ, შს იმდროინდელ მინისტრს, კახა თარგამაძეს, რომელიც „რკინის კაცის“ მეტსახელით იყო ცნობილი, ერთგვარი „ჩელენჯი“ შესთავაზა, გადადექი და გადავდგებიო.

თარგამაძემ, უფრო სწორად, შევარდნაძემ ეს გამოწვევა მიიღო და თარგამაძე გადააყენა. ჟვანიამაც უკან არ დაიხია და პარლამენტის სპიკერის პოსტი დატოვა.

როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, თარგამაძის მოხსნით, შევარდნაძის ხელისუფლებამ ძლიერი საყრდენი დაკარგა. ბოლო აკორდი კი, ამ კუთხით, ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობა იყო – საჯაიას მოცილებით, შევარდნაძის ხელისუფლება საბოლოოდ დასუსტდა და...

ამასობაში, 2003 წელიც დადგა და, მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნებში, „მოქკავშირმა“ გამარჯვება იზეიმა, ეს გამარჯვება მყიფე აღმოჩნდა და „ვარდების რევოლუციის“ სცენარი გათამაშდა.

ზოგი ამბობს, რომ ახლაც, მოვლენები, სწორედ ამ პრიზმაში უნდა განვიხილოთ, მაგრამ ისიც ცალსახაა, რომ რევოლუცია არ მოხდება. არ მოხდება, რადგან მეორე მხარეს, ესე იგი, ქუჩაში, ოპოზიციის ოდიოზური ფიგურები დგანან, ფიგურები, რომელთა მიმართაც ხალხის დამოკიდებულება არცთუ დადებითია.

ისე, ოპოზიცია პრემიერის გადადგმას ითხოვს. ეს მოთხოვნა, ერთი შეხედვით, შესაძლოა, სამართლიანია, მაგრამ აბა, დავფიქრდეთ: პრემიერობა არჩევითი თანამდებობა არაა და ამიტომ, გადადგომის მოთხოვნაც არცთუ რელევანტურია.

ამას გარდა, გასაგებია, რომ ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერ პროცესზე პასუხისმგებელი ხელისუფლებაა, მაგრამ იგივე 20 ივნისის მოვლენებისგან განსხვავებით, ახლანდელ პრემიერს ბრალს პირდაპირ, ვერავინ, ვერაფერში დასდებს ანუ 20 ივნისის აქციის დარბევაზე, პირდაპირი პასუხისმგებელი გახარია იყო, მაგრამ იმაზე, რაც წელს, 5 ივლისს მოხდა, ირაკლი ღარიბაშვილი პირდაპირი პასუხისმგებელი არ არის. მას შეიძლება, პრეტენზია იმის გამო წავუყენოთ, რომ 5 ივლისის დილით, საკუთარი განცხადებით, მოძალადეებს ერთგვარი მწვანე აუნთო, მაგრამ პრინციპში, რა თქვა ტყუილი პრემიერმა? – ამ ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრვალესობისთვის „ღირსების მარში“ მიუღებელია ანუ იდეოლოგიურად, ხელისუფლება მომგებიან პოზიციაშია...

* * *

13 ივლისს, ლექსო ლაშქარავა დაასაფლავეს.

ლექსო თანამედროვე საქართველოს უსამართლობის მსხვერპლთა სიმბოლოდ იქცა...

ლექსოს გასვენებიდან ორი კადრი დამამახსოვრდა – ვიდეოკამერების დერეფანი და ფოტო, რომელზეც ლექსო თავის კამერასთან ერთად იყო გამოსახული, იმ კამერასთან, რომელიც 5 ივლისს, „ორკებმა“ დაუმსხვრიეს.

ლექსო საქართველოს ისტორიაში შევა.

„ქართველობის“ მოძალადე მცველები? – ისტორია მათზეც დაწერს, ოღონდ დაწერს ერთ სიტყვას – „კაცთმოძულენი!“

ჰო, ლექსო ქრისტეს სახელით მოძალადეების მსხვერპლია!

თუ არ გვინდა, რომ ხვალ და ზეგ, ლექსოს ბედი ჩვენც გავიზიაროთ, ხმა უნდა ამოვიღოთ!

ჩვენ ლექSOSთვის ანუ ჩვენი თავისუფლებისთვის უნდა ვიბრძოლოთ!

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ 5-6 ივლისის ვანდალიზმი, არ უნდა დავივიწყოთ იმიტომ, რომ ამ დღემ ჩვენი ცხოვრება შეცვალა, უფრო სწორად, კი არ შეცვალა, არამედ, ნათლად დაგვანახა ის მომავალი, რომელიც გაჩუმების შემთხვევაში გვემუქრება!

ჩვენ უნდა ვიყვიროთ!

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ!

ჩვენ „ჯინსების თაობა“ ვართ და „ბრეჟნევის ელიტა“ წარსულში ვერ დაგვაბრუნებს!

P.S. „ვერსია“ თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს და ქართულ მედიას ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების გამო.

ᲖᲐᲘᲠᲐ ᲛᲘᲥᲐᲢᲐᲫᲔ: „ᲝᲛᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲐ – ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ!“

ᲒᲕᲐᲜᲪᲐ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

1993 წლის 2 ივლისს, დაბა ტამიშთან, აფხაზურმა მხარემ რუსეთის სამხედრო ხომალდით საზღვაო დესანტი გადმოსხა. ქართულმა მხარემ, რამდენიმედღიანი ბრძოლის შემდეგ, 300-მდე მებრძოლი დაკარგა. დიდი დანაკარგის მიუხედავად, ქართველმა ჯარისკაცებმა დესანტის მოგერიება და პოზიციების შენარჩუნება შეძლეს... დღეს, როდესაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები ჯერ კიდევ არ დაუბრუნებია, არსებითად მნიშვნელოვანია ქვეყანაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის პროპაგანდა. „ვერსიის“ რესპოდენტი, ზაირა მიქატაძე ამის თვალსაჩინო მაგალითია. ჟურნალისტი, რომელიც აფხაზეთის ომს აშუქებდა და რომლის თვალწინაც ტრაგედიამ გაიარა, დღეს, საქართველოს ეროვნულ გვარდიაში, აქტიური რეზერვისტია და რამდენიმე დღის წინ, სამხედრო ფიცი დადო. „ვერსია“ ზაირა მიქატაძეს ესაუბრა:

„ომის ვეტერანებს დღეს საკმარისი დაფასება არ აქვთ!“ – ინტერვიუ ომის ვეტერან ჟურნალისტთან

– 30 ივნისს წავედი, სტუდენტი ვიყავი – გამოცდა ჩავაბარე და იმ დღესვე წავედი. პირდაპირ მოვყევი იმ მოვლენების ეპიცენტრში. მას შემდეგ, 28 წელი გავიდა. წუხელ (2 ივლისის ღამეს, – რედ.) არ მძინებია, ისევ ომის ქარ-ცეცხლში ვიყავი. მარტო მე არა, ყველა მეომარი, აბსოლუტურად. დღესაც კი, ბიჭები ცოცხლობენ და ცხოვრობენ იმ ომის გახსენებითა და ტკივილით. ჩემთვის ეს დღეები ისეთია, თითქოს, გუშინ მოხდა. ყველა მეომრის სახე მახსოვს, აბსოლუტურად. როგორც ჩემთვის, ისე სხვებისთვის, არ გასულა ეს 28 წელი, თითქოს, დრო გაჩერდა, თითქოს, იმ პერიოდში ვცხოვრობთ, როდესაც ომს ეხება საქმე, თორემ ისე, რა თქმა უნდა, ცხოვრებას ვაგრძელებთ და ყველას ჩვენი გზა გვაქვს. როცა ომს ეხება საქმე, იქ ვართ გაყინულები და იქ ჩერდება დრო.

– ახალგაზრდებს, რომლებიც ომში მიდიოდნენ, როგორი ენთუზიაზმი ჰქონდათ?

– ენთუზიაზმი ძალიან დიდი იყო. ალბათ, ისეთი ენთუზიაზმი იყო, რომელიც საუკუნეში ერთხელ მოდის. ვფიქრობ, მაშინ ეროვნული მოძრაობა ახალი ჩამთავრებული იყო და აი, ეს მუხტი გადასდებოდათ ბიჭებს. მთელი ამ ხსნის განმავლობაში, სამშობლოს მიმართ დაგროვებულ სიყვარულს ვერ ვხარჯავდით, ალბათ, ამას მიეცა სათავე. ყველამ, ომის დაწყებისთანავე, იცოდა, რომ ომი იყო რუსეთთან და არა – აფხაზეთთან და საერთოდაც, ამ ომს აფხაზეთის ომი რატომ ჰქვია, არ ვიცი! ალბათ, აფხაზეთის ტერიტორიაზე რომ მიმდინარეობდა, თორემ ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი, რადგან რუსეთის გაცილებით მეტი ძალა იღებდა ამ ომში მონაწილეობას, საბრძოლო ოპერაციები იგეგმებოდა მოსკოვში, გენშტაბში. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭებმა ეს იცოდნენ, მაინც მიდიოდნენ. მიდიოდნენ სასაკლაოზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ძალიან დიდი ენთუზიაზმი იყო და ამ ენთუზიაზმს ამძაფრებდა ის, როდესაც თანამებრძოლი უკვდებოდათ. იცოდნენ, რომ თვითონაც განწირულები იყვნენ, მაგრამ არ აძლევდნენ თავს იმის უფლებას, რომ სამშვიდობოს, თბილისში ჩამოსულიყვნენ. თითქოს, თანამებრძოლების საქმის საკეთებლად, მათი სისხლი რომ ტყუილად არ დაღვრილიყო, აი, ამის გამოც და ბევრი პირობა ჰქონდა იქ წასვლას. საკუთარი ტანსაცმელი, შარვლები და ბოტასები ეცვათ ბიჭებს და ისე იბრძოდნენ, მშივრები, მწყურვალები, აი, ასე იბრძოდნენ. ამ ენთუზიაზმს თუ ოდესმე დაიბრუნებს ჯარი, მეეჭვება.

– ქალბატონო ზაირა, რა პრობლემები აქვთ დღეს ომის ვეტერანებს, სათანადოდ აფასებენ?

– საკმარისი დაფასება დღეს ომის ვეტერანებს არ აქვთ. ძალიან დამწყდა გული, ამ დღეს, გმირთა მოედანზე, მხოლოდ ჩემი სამსახური მივიდა – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში ვმუშაობ. უდიდეს პატივს ვცემ შინდისელ გმირებს. არ ვამბობ იმიტომ, თითქოს, ამ მოვლენებს ერთმანეთს ვუპირისპირებდე. უდიდეს პატივს ვცემ მათ და ერთ-ერთი, მიშიკო დვალიშვილი, ჩემი ნათესავი იყო. ვიცნობდი ამ ბავშვს. მანამდე, სანამ დაიღუპებოდა, ურთიერთობა მქონდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, 11 აგვისტოს, ყოველთვის ჩადის მთელი მთავრობა შინდისში. 1993 წლის 2 ივლისს, ნაკლები მოვლენა არ მომხდარა. ეს იყო, დაახლოებით, 10-დღიანი ოპერაცია, რომელიც დამთავრდა ქართველების გამარჯვებით. ძალიან დიდი ძალა განადგურდა ამ ოპერაციის დროს. აქედან ჩანს და ნათელია, რადგან ისტორიას არ აფასებ, არც იმას აფასებ, ვინც ეს ისტორია შექმნა და ვინც ამ ისტორიის მონაწილეა. აქედან დასკვნის გაკეთება ძალიან მარტივია, მით უმეტეს, ვიცით, რა მდგომარეობაში იმყოფებიან ომის ვეტერანები. კი აქვთ სამედიცინო კუთხით გარკვეული დახმარება, მაგრამ ძირითადი დახმარება მაინც ჩემი სამსახურის მხრებზეა. მგზავრობას რაც შეეხება, მხოლოდ ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში რეგისტრირებულ ვეტერანებს აქვთ უფასო მგზავრობის უფლება მუნიციპალურ ტრანსპორტში. ეს არის ადგილობრივი ხელისუფლების კეთილი ნება, ამიტომ უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც ყველა ვეტერანს თანაბრად შეეხება.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო სუბსიდიას – 22 ლარს, რომელიც არც იქით მიდის და არც აქეთ მოდის, პრემიერი გვპირდება, რომ 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება მისი გაზრდის საკითხი და ღმერთმა ქნას, რომ ასე იყოს.

– ომიდან ამდენი წლის შემდეგ, არსებობს თუ არა აფხაზეთის დაბრუნების შანსი?

– აფხაზეთის დაბრუნების შანსი ნამდვილად არსებობს. 2014 წლის ბოლოს, მე აფხაზეთში ვიყავი, ვსტუმრობდი აფხაზებს და მათ ჩვენთან ურთიერთობა უნდათ. გამზადებული მაქვს წიგნი დასაბეჭდად – „ენგურს გაღმა საქართველო“. ჩვენთან ურთიერთობა უნდათ, უბრალოდ, ანგარიშს უწევენ, ესეც მსუბუქი ნათქვამია, უფრო ეშინიათ (რუსეთის, – რედ.). ოჯახებში სტუმრად რომ დავდიოდი, თვითონ მეუბნებოდნენ, სამახსოვრო ფოტოები გადავიღოთო და მთხოვეს, აქედან, როგორმე გადააგზავნე და არ წაიღო ენგურს გაღმა, რადგან საზღვარზე რომ ნახონ, პრობლემები შეგვექმნებაო. უამრავი მაგალითია ამ გულთბილი შეხვედრის.

ერთი მაგალითი ვიცი, აფხაზ გოგოს ქართველი ბიჭი შეუყვარდა, გადმოვიდა საზღვარზე და ოჯახი შექმნეს. ასეთი მაგალითები უამრავია და რადგან ასეთი მაგალითები არსებობს, საფუძვლიანი იმედია, რომ აფხაზეთი ისევ დაუბრუნდება საქართველოს შემადგენლობას.

– ისიც მითხარით, ცოტა ხნის წინ, სამხედრო სამსახურში რატომ წახვედით?

– საქართველოს ეროვნულ გვარდიაში ასეთი პროგრამა არსებობს – აქტიური რეზერვი. ამ პროგრამაში მივიღე მონაწილეობა. ჯერ ერთი, პროფესიით ჟურნალისტი ვარ და ყოველთვის მინდოდა, რაღაც გარკვეული პერიოდი, ყველაზე რთული პროფესიით მუშაობა. ჯარისკაცობა კი ყოველთვის მინდოდა, აფხაზეთის ომის შემდეგ, განსაკუთებით. როცა ჯარისკაცების თავგანწირვას ვხედავდი, ძალიან დიდი სურვილი მქონდა, მეც ჯარისკაცი ვყოფილიყავი, მაგრამ გარკვეულმა მიზეზებმა ხელი შემიშალა. ახლა მომეცა იმის საშუალება, რომ არსებობს აქტიური რეზერვის პროგრამა და შეიძლებოდა, მეც გავმხდარიყავი ჯარისკაცი. ერთ-ერთი პირობა ისიც იყო, რომ როდესაც ჩვენ მეომრებს მოვასვენებდით აფხაზეთიდან, ყველას საფლავზე ჩუმად, ჩემს გულში, ფიცს ვდებდი, რომ მათ დაწყებულ საქმეს გავაგრძელებდი და ამის საშუალება მომეცა. მე თუ აფხაზეთის ომის შემდეგ იარაღს დავიჭერდი, ნამდვილად არ მეგონა. როდესაც იარაღი მეჭირა, თითქოს, ჩემს ადგილას, მკვდრეთით აღმდგარი ბიჭები იყვნენ.

– იმ ფონზე, როდესაც „გირჩის“ „ბიბლიური თავისუფლება“ ათასობით ახალგაზრდას ათავისუფლებს სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან, როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს ჯარში გაწვევის აქტიური პროპაგანდა? მით უმეტეს, საქართველო ისევ საომარ ვითარებაშია...

– კი, საომარ რეჟიმშია, ნამდვილად. დამიწერეს კიდეც, რომელ ომში მიდიხარ, ძლივს მშვიდობა დადგაო. მშვიდობა საქართველოს არ აქვს, ეს შეიძლება იყოს, რაღაც დროებითი გაყინული კონფლიქტები, თორემ მშვიდობა არ აქვს საქართველოს, სანამ ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია და სანამ მცოცავი ოკუპაცია არსებობს. სანამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ჩვენი შინმოუსვლელი ბიჭების ძვლები ასვენია მიწაში და მათი ოჯახები მათ გადმოსვენებას ელოდებიან, მანამდე საქართველოში ომი დამთავრებული არ იქნება. აუცილებელია, რა თქმა უნდა! მეტი პროპაგანდა და მხარდამჭერი უნდა ჰყავდეს... მე ამაში ხელისუფლებას ვერ დავადანაშაულებ, თვითონ საზოგადოებისგან არის გულგრილობა ჯარისა და ჯარისკაცობის მიმართ. მე, მაგალითად, ერთადერთი ადგილი, სადაც პატრიოტიზმს ვხედავ, არის ჯარი. ზუსტად ამიტომ ვერ წარმომიდგენია, რომ მშობელმა შვილი „გირჩი“-ში გაუშვას. მე არაფერი არ მაქვს საწინააღმდეგო მათი პოლიტიკური იდეებისა და მიზნებისა, მაგრამ წინააღმდეგი ვარ იმის, რომ ხელს უშლიან ახალგაზრდებს, ემსახურონ საკუთარ ქვეყანასა და სამშობლოს.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„უსამართლოდ დასჯილი და დევნილი ადამიანი ვარ, მაგრამ დღეს ღმერთი ჩემთან ყველაზე ახლოსაა!“



მეუფე პეტრე: „ეკლესია სადამსჯელო ორგანიზაციად იქცა!“

5-6 ივლისს, რუსთაველის გამზირზე, რადიკალურმა ჯგუფებმა ჟურნალისტებზე პატრიარქისა და ქრისტიანობის დაცვის სახელით იძალადეს. ბოლო დღეების მოვლენების შეფასება „ვერსიამ“ მეუფე პეტრე ცაავას სთხოვა, რომელსაც მღვდელმსახურება და სასულიერო ხარისხი შეჩერებული აქვს, თუმცა ეკლესიიდან მისი განკვეთის გადაწყვეტილება წმინდა სინოდს ჯერ არ მიუღია:

– 5 ივლისის მოვლენები, სამწუხაროდ, რეალობის გამოხატულებაა.

– რომელი რეალობის?

– საქართველოში სერიოზული რელიგიური და პოლიტიკური კრიზისია, ფეხქვეშაა სახარება გათელილი. სახარების სწავლებაა უარყოფილი, იგნორირებულია მაღალი იერარქიის მხრიდან. არანაირი ქრისტიანული სულისკვეთება არ ჩანს ამ საქციელში, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს კრიზისი იმ მოვლენების გაგრძელებაა, რაც ჯერ კიდევ 2016 წლიდან, ეკლესიაში სკანდალების სახით გამოიკვეთა და საეკლესიო მმართველობამ დღემდე ვერ აღმოფხვრა, მეტიც, კიდევ უფრო ღრმავდება. დღევანდელი საპატრიარქო დაემსგავსა დესტრუქციულ რელიგიურ ორგანიზაციას, სექტას (სექტანტურია ეს დამოკიდებულება). არ არსებობს კანონის უზენაესობა საერო ან საეკლესიო ხელისუფლებაში. არ არის გარანტია რჯულის კანონის აღსრულებისა საეკლესიო მმართველობაში ისევე, როგორც ქვეყანაში არ გვყავს კონსტიტუციის დაცვის გარანტი. ის, რაც 5 ივლისს, ქაშუეთთან ვნახეთ, იმ ძალადობის უფრო დიდი მასშტაბით გაგრძელებაა, რაც მიტროპოლიტმა სტეფანემ, ბზობის დღესასწაულზე, სალხინოში მოაწყო. სწორედ მაშინ მოაწყო მოძალადეების დაჯგუფებამ ერთგვარი რეპეტიცია რუსთაველზე მომხდარის დასაგეგმად.

ვინაიდან დღემდე არ არსებობს დემოკრატიული შეგნება, მხოლოდ იმით განვსხვავდებით ტოტალიტარული, დიქტატორული რეჟიმებისგან, რომ ქვეყანაში, ღმერთის წყალობით, თითოეული თქვენგანის, ჟურნალისტების გამბედაობის, პირდაპირობისა და სახელმწიფოებრივი შეგნების დამსახურებით, არსებობს კრიტიკული მედია. ამიტომ მთავარი სამიზნე პოსტსაბჭოთა აზროვნების ეკლესიური მმართველობისა და ხელისუფლებისთვისაც, რომელიც არადემოკრატიულია, მედია და ის ადამიანები არიან, რომლებიც კითხვას სვამენ და ვინაიდან არ აქვთ პასუხი, გადადიან ფიზიკურ ძალადობაზე. სულიერების არქონაა ყველაფერი ის, რაც ჩვენ, ძალის დემონსტრაციის სახით, რუსთაველის გამზირზე ვიხილეთ.

– საპატრიარქომ განაცხადა, რომ 5 ივლისს განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა ლგბტქ საზოგადოებას ეკისრება. ამაზე რას იტყვით?

– საპატრიარქო არის უპასუხისმგებლო ორგანიზაცია. ის წარმოადგენს ადამიანთა დაჯგუფებას, რომელსაც ღვთის შიში არ აქვს, სინდისისა და სირცხვილის გრძნობა არ გააჩნია. ამიტომ იოლია, ხელები დაიბანო და ეს ემსგავსება პილატეს საქციელს, რომელმაც ხელები დაიბანა მაცხოვრის ჯვარცმაზე. თითოეული ჟურნალისტის სახით დაჩაგრული ადამიანი, იმ შემთხვევაში, ქრისტეს წარმოადგენდა. ხელისუფლებისგან განსხვავებით, ცბიერების უფრო მაღალი ხარისხი აქვს საპატრიარქოს და ცდილობს, უფრო ადვილად მოატყუოს საზოგადოება. ათწლეულებია, საპატრიარქოს ეს გასდის – გაუვიდა 90-იან წლებში, ეროვნული ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობა და შემდეგ, საზოგადოების ნაწილის მოტყუება. არადა, პასუხისმგებლობა, „პუტჩისტებთან“ ერთად, სრულად ეკისრებოდა საპატრიარქოს. მახსოვს, 2017 წელს, „ციანიდის სკანდალის“ დროს, ერთ-ერთმა მღვდელმთავარმა მითხრა, შენ რომ ყოფილიყავი ეკლესიაში და გენახა, ზვიადის დროს რა პრობლემები იყო და საიდან გამოვძვერით (ვციტირებ), ამას არ იტყოდიო. ეს იყო იმის პასუხი, როცა ვამბობდი, ამ კრიზისს ვერ დავძლევთ სიცრუითა და ცბიერებით, ერთადერთი გამოსავალია სიმართლისა და ეკლესიაში არსებული პრობლემების აღიარება და საჭიროა გეგმის შემუშავება, თუ როგორ უნდა გამოვიდეთ ამ პრობლემიდან-მეთქი.

საპატრიარქო ცდილობს, ძალით გადაფაროს, ჩაახშოს, როგორც სასულიერო პირების, ასევე, თეოლოგების გულშემატკივრობა. ყველა დაისაჯა, ფაქტობრივად, ზოგი უზიარებლობით, ზოგს კი ხარისხი შეუჩერდა. ეკლესია სადამსჯელო ორგანიზაციად იქცა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც გამოთქვამენ კრიტიკას და გამოღვიძებისაკენ მოუწოდებენ ერს. მათ რიცხვში შედის მასმედიის დიდი ნაწილი, რომელიც მთავარი თავისტკივილი გახდა, როგორც საერო, ასევე საეკლესიო ხელისუფლებისთვის. ვფიქრობ, ეს იყო შეთანხმებული სპეცოპერაცია, რომელსაც „დირიჟორი“ ჰყავდა ჩვენს დამპყრობელ ქვეყანაში, ოკუპანტ რუსეთში!

ხომ ვნახეთ, რომ თუ ვინმემ იხეირა, გაიხარა და აღფრთოვანებული იყო ამ მოვლენებით, ეს იყო რუსული მედია და კრემლი, რომელთაც ყველაზე მეტად, „გათიშე და იბატონე“-ს პრინციპით უნდა მართოს საქართველო, როგორც არშემდგარი სახელმწიფო, თუმცა იმედს გავუცრუებ ჩვენს მტრებს, რადგან ქართველი ერის ჯანსაღი ნაწილი, რომელიც არის მარილი და ნათელი ამა ქვეყნისა, აუცილებლად განაქარვებს ამ სიბნელეს და გააქარწყლებს.

– მეუფე პეტრე, რუსეთის ეს თამაში სახიფათოა?

– ჩვენ სწორად უნდა გავაანალიზოთ და შევაფასოთ მოვლენები. ეკლესია ერთადერთი ინსტიტუციაა, რომელსაც ძალუძს ერის გამთლიანება, მაგრამ ვხედავთ, რომ ეკლესია მხარეა. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, სირცხვილიც კია, ილია მეორე იწოდებოდეს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქად მაშინ, როცა ის 5 ივლისს, ისევე, როგორც 1991-92 წლებში, 9 აპრილს და თუნდაც აფხაზეთის ომში, იყო ერთი დაჯგუფების, ძალმომრეობის მხარე და არა – სრულიად საქართველოს მამა და პატრიარქი. საპატრიარქოს წარმომადგენლები, წმინდა სინოდის წევრების სახით, ასევე, არ გმობდნენ ამ ძალადობას და არაფერი გააკეთეს, შუაში ჩადგომოდნენ მოძალადეებს, პირიქით, მოძალადეების მხარეს დადგნენ.

ეკლესია კარგავს გამაერთიანებლის ფუნქციას, მაგრამ ეკლესიაზე პასუხისმგებლობა არა მხოლოდ სასულიერო, არამედ, საერო პირებსაც ეკისრებათ და ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ქრისტე დაბრუნდეს ეკლესიაში, ეკლესიამ დაიბრუნოს ერის გამაერთიანებლის ფუნქცია.

– სჯულის კანონი ახსენეთ და, საპატრიარქოს თქმით, ლგბტქ საზოგადოებას იმიტომ ებრძვის, რომ ეს იდეოლოგიურად ეწინააღმდეგება ჩვენს რწმენას. შეიძლება, ყველაფერს, მართლაც, ჩვენი სარწმუნოების დაცვის მოტივით აკეთებენ...

– ერთი მარტივი ჭეშმარიტება უნდა ვაღიაროთ – ბოროტებას ბოროტებით ვერ დაამარცხებ, ბოროტება უნდა დავამარცხოთ მხოლოდ სიკეთით. სიბნელე უნდა გაქარწყლდეს მხოლოდ სინათლით, ამიტომ, რა თქმა უნდა, ცოდვა ბოროტებაა, მაგრამ მსგავსი მეთოდებით ბოროტების მიმართ ბრძოლა არ ყოფილა არც თავის დროზე, სოდომსა და გომორში, სადაც მართალი ლოტი მკვიდრობდა და საიდანაც უფალმა გამოიყვანა და განარიდა, როცა მოთმინების ფიალა აივსო. რა თქმა უნდა, თუ ცოდვას არ აღვუდექით წინ, ერისთვის ეს იქნება უბედურების მომტანი და მათ იდეოლოგიას აქვს მოტივაცია, მოიპოვოს ძალაუფლება.

რა თქმა უნდა, ეს ძალიან საფრთხილო თემაა, ჩვენ უნდა დავგმოთ და ვებრძოლოთ ცოდვას, მაგრამ არა – ძალადობით. ყველაზე მთავარი პრობლემა კი ისაა, თუ ვინ ებრძვის და გმობს ამ ცოდვას. მაშინ, როცა არაერთგზის გვითქვამს, რომ ათწლეულებია, ეკლესიის წიაღში, თავად აქვს ამ სოდომურ ცოდვასა და გარყვნილებას ფესვი მყარად გადგმული... როცა თავად კათალიკოს-პატრიარქი არის მხილებული ამ ცოდვაში და დღემდე თავი არ უმართლებია და ვერც გაიმართლებს ვერასდროს (რადგან ეს მხილება არის ჭეშმარიტი), მიუღებელია ამ ეკლესიური მმართველობისგან ეკლესიის წიაღში არსებული ამ მძიმე ცოდვის გადაფარვის მცდელობა. მეტიც, ეს არის პოლიტიკა. პირადად ჩემთვის, საპატრიარქოს საქციელი პოლიტიკაა და ეს ცოდვასთან ბრძოლა ან სახელმწიფოებრივი მოქმედება არ არის. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება, ანტიდასავლური პროპაგანდის ნაწილი და რუსული პროპაგანდის ე.წ. მეხუთე კოლონის მოქმედება საქართველოში.

– მეუფე პეტრე, რა ამის პასუხია და, როგორ ცხოვრობთ მას შემდეგ, რაც სასულიერო ხარისხი შეგიჩერდათ?

– მეუფე პეტრე უსამართლოდ დასჯილი და დევნილი ადამიანია ისევე, როგორც პირველ საუკუნეებში, ქრისტიანები იყვნენ დევნილები, სანამ რჯულის შემწყნარებლური აქტი გამოიცემოდა და სახელმწიფო რელიგია გახდებოდა ქრისტიანობა რომში, მაგრამ ღმერთი მათთან ყველაზე ახლოს იყო. ვფიქრობ, დღეს, ყველაზე ახლოს არის მეუფე პეტრესთან ღმერთი, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ვსასოებ ყოვლადმოწყალე უფალს, რომელიც იტყვის ბოლო სიტყვას და ქართველ ერს გაამთლიანებს ეკლესიის, ქრისტიანული ღირებულებების დასაცავად, ქრისტიანული სწავლებით და სამართლიანობა იზეიმებს.

სკანდალური საიდუმლო სქემა, რომლითაც „ფილიპ მორისი“ ექიმების, პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების მოსყიდვას ცდილობს!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

გახურებადი თამბაქოს, იგივე „აიქოსის“ პოპულარიზაციის მიზნით, თამბაქოს ინდუსტრია ახალ, მარკეტინგულ ხრიკს მიმართავს. მეტიც, ახალი პროდუქტის რეკლამირების მიზნით, თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებს საზოგადოება და ექიმებიც კი შეცდომაში შეჰყავს. სამიოდე კვირის წინ, „თამბაქოს კონტროლის ალიანსმა“ „ფილიპ მორისის“ საქართველოში წარმომადგენლობის დიდი ღონისძიება ჩაშალა წინანდალში, სადაც თამბაქოს კომპანიამ ექიმები, პოლიტიკოსები, იურისტები და ჟურნალისტები დაპატიჟა. ამ ტრენინგებზე „ფილიპ მორისის“ საქართველოში წარმომადგენლობა საზოგადოებას არწმუნებდა, რომ გახურებადი თამბაქო სიგარეტის ალტერნატივაა და ვისაც თამბაქოს მოწევა აღარ სურს, შეუძლია, „აიქოსზე“ გადავიდეს, რაც სრული სიცრუე და აბსურდია! „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ თავმჯდომარე გიორგი ბახტურიძე „ვერსიასთან“ ინტერვიუში იმ სქემას შიფრავს, რომლითაც თამბაქოს ინდუსტრია ექიმების მოსყიდვას ცდილობს.

როგორ ჩაშალა „თამბაქოს კონტროლის ალიანსმა“ თამბაქოს ინდუსტრიის მიერ დაფინანსებული ღონისძიება წინანდალში, რატომაა IQOS-ი ჩვეულებრივ სიგარეტზე საშიში და რას იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტრო

– ბატონო გიორგი, როგორ და რა სქემით ცდილობს „ფილიპ მორისი“ ქართველი ექიმების მოსყიდვას?

– აქ მთავარი ამბავი მის მიერ შემუშავებული ახალი პროდუქტის პოპულარიზაციაა და ამ მიზნით, ჯერ კიდევ 2017 წელს სპეციალური ფონდი შექმნეს, რომელსაც „თამბაქოსგან თავისუფალი მსოფლიოს“ ნაცვლად, „მოწევისგან თავისუფალი მსოფლიო“ უწოდეს. ეს იმიტომ, რომ თითქოს მოწევის ერა დასრულდა, რაც ძალიან კარგად შეეტყო თამბაქოს მოხმარების დრამატულად შემცირებას მთელ მსოფლიოში. ახლა, ახალი ტიპის გახურებადი თამბაქოს სახით, მეორე სუნთქვის შესაძლებლობა გაეხსნათ. საიდუმლო დოკუმენტებში, რომლებიც აშშ-ის სასამართლომ გახსნა და ჩვენთვისაც ხელმისაწვდომი გახდა, პირდაპირ აღწერილია სქემა, თუ როგორ უნდა მოისყიდონ პოლიტიკოსები, ექიმები, საზოგადოების ცნობადი სახეები, რათა ახალი პროდუქტის პოპულარიზაცია განახორციელონ. ამ მიზნით, 2017 წელს, შექმნეს „მოწევისგან თავისუფალი ფონდი“, რომლის ბიუჯეტიც, 12 წლის განმავლობაში, 1 მილიარდი აშშ დოლარით განსაზღვრეს. ცხადია, ამ სქემაში სხვადასხვა ქვეყანა იყო ჩართული და ახლა საქართველოც ჩართეს.

ფაქტობრივად, თამბაქოს ინდუსტრია ხელისუფლებას საბოტაჟს უწყობდა – აცხადებდნენ, რომ გახურებადი თამბაქო განსხვავებული ტიპის, თითქოს ნაკლებმავნე პროდუქტია, რის გამოც მისთვის დაბეგვრის განსხვავებულ რეჟიმს და გადასახადის დაკლებას ითხოვდნენ. რა თქმა უნდა, მთავრობამ ეს არ გაითვალისწინა და სწორადაც მოიქცა. საერთაშორისო კონვენციასა და ადგილობრივი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, ერთი და იგივე თამბაქოს ნაწარმი უნდა იბეგრებოდეს შესაბამისად, ამიტომ სააქციზო განაკვეთიც ერთი და იგივე უნდა იყოს. ამის შემდეგ, აჟიოტაჟი შექმნეს, სხვათა შორის, კონტრაბანდასაც კი უწყობდნენ ხელს, რათა საბოტაჟი გაეგრძელებინათ – მთავრობას ეუბნებოდნენ, ნახეთ, გახურებადი თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდა გაიზარდა და აქედან გამომდინარე, გადასახადი უნდა შემცირდეს და ბაზარზე შემოვიდესო. მთავრობამ ამჯერადაც უარი განუცხადა, თან პანდემიის პერიოდში, არ შემოდიოდა თამბაქოს ნაწარმი ქვეყანაში, კონტრაბანდულადაც კი.

ყველაფერ ამის შემდეგ დაფიქრდნენ და ახალი სტრატეგია მოიფიქრეს – გასულ წელს, აშშ-ის საკვებისა და წამლის სააგენტომ გახურებადი თამბაქოს პროდუქტს აშშ-ის ბაზარზე დროებით, ორი წლის მანძილზე, მოდერირებული რისკის პროდუქტის სტატუსი მიანიჭა და შესაბამისად, მისი რეალიზაცია დაუშვა, თუმცა სააგენტომ მაშინვე განაცხადა, რომ ეს ამ პროდუქტის აღიარებასა და რეგისტრაციას არ ნიშნავდა, რაც მთავარია, იქვე დააზუსტა, რომ ეს პროდუქტი ნაკლებმავნე არაა ჯანმრთელობისთვის. ისიც აღნიშნეს, რომ სააგენტო დაეყრდნო თამბაქოს ინდუსტრიის მიერ წარდგენილ კვლევის შედეგებს და სტატუსიც ამის მიხედვით მიანიჭეს. შედეგად, ეს პროდუქტი აშშ-ის სავაჭრო ობიექტებში დაუშვეს. რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება თამბაქოს ინდუსტრიამ გამოიყენა საკუთარი მარკეტინგული მიზნებისთვის და ბევრ ქვეყანაში არასწორად, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის გზით, პროდუქტის პოპულარიზება დაიწყო და ახლა საქართველოშიც იგივეს ცდილობს.

აშშ-ის საკვებისა და წამლის სააგენტოს იმ გადაწყვეტილებიდან მეორე დღესვე, „ფილიპ მორისმა“ განაცხადა, რომ საქართველოს ბაზარზე ზარ-ზეიმით შემოდიოდა. ამას მოჰყვა მათი საქმიანობაც.

– დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?

– როგორც იცით, 2018 წლიდან, საქართველოში, თამბაქოს პროდუქტებთან დაკავშირებული მარკეტინგული საქმიანობა აიკრძალა, მათ შორის, რეკლამა, პოპულარიზაცია, სპონსორობა. მართალია, მარკეტინგული საქმიანობის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ გახურებადი პროდუქტის შესახებ საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც საზოგადოებას გარკვეული ინფორმაცია ჰქონდა. მეტიც, ამ პროდუქტს საკუთარი მომხმარებლებიც ჰყავდა, მაგრამ აშშ-ის საკვებისა და წამლის სააგენტოს იმ გადაწყვეტილების შემდეგ, რაც მხოლოდ აშშ-ის ბაზარს ეხებოდა, თამბაქოს იდუსტრიის წარმომადგენლებმა აქტიური მარკეტინგული ღონისძიებები დაიწყეს, მათ შორის, ოპოზიციურ პარტიებთანაც.

სხვათა შორის, კომუნიკაცია ისედაც ჰქონდათ ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიასთან – „ევროპულ საქართველოსთან“.

– ამას რის საფუძველზე აცხადებთ, ბატონო გიორგი, რა ინფორმაციას ფლობთ, როდესაც ევროპულ საქართველოს თამბაქოს ინდუსტრიასთან კავშირში ამხელთ?

– ახლავე აგიხსნით: წინა მოწვევის პარლამენტში, ფრაქცია „ევროპულმა საქართველომ“ წარადგინა ფილიპ მორისის მიერ შექმნილი კანონპროექტი და სწორედ ეს ფრაქცია ლობირებდა ამ საკითხს. სხვათა შორის, კანონპროექტი სერგი კაპანაძემ გაიტანა პარლამენტში.

– რომელ კანონპროექტს გულისხმობთ?

– მოწევის აკრძალვის კანონპროექტი რომ შევიტანეთ და პარლამენტში განხილვა მიდიოდა, პარალელურად, ევროპულმა საქართველომ დაარეგისტრირა ახალი, ალტერნატიული კანონპროექტი. სწორედ აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ „ფილიპ მორისი“ ამ ოპოზიციურ ჯგუფთან კარგად თანამშრომლობს და მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებსაც არ გამოვრიცხავ.

– ამბობთ, თამბაქოს ინდუსტრია სხვა ოპოზიციურ პარტიებთანაც თანამშრომლობსო, დააკონკრეტეთ, ვისთან?

– ყოფილ მინისტრებსა და მინისტრის მოადგილეებთან, რომლებიც, ფაქტობრივად, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები არიან.

მოკლედ, თამბაქოს ინდუსტრიამ მარკეტინგული კამპანია ყოფილი პოლიტიკოსებისა და ექიმების ჩათრევით დაიწყო. მაგალითად, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, სანდრო ურუშაძე „ფილიპ მორისის“ მიერ ორგანიზებული სემინარის ერთ-ერთი მომხსენებელი გახლდათ. ამ ღონისძიებას ესწრებოდა მისი ყოფილი მოადგილე კოკა ფრუიძეც...

– ექიმები როგორ აღმოჩნდნენ „ფილიპ მორისის“ ამ სქემაში?

– თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებმა ექიმებზე ნადირობა დაიწყეს, არ მინდა გვარებისა და სახელების დასახელება, რადგან ბევრი მათგანი გამოეთიშა ამ სამარცხვინო მარათონს.

ყველაფერი ასე დაიწყო: წარჩინებულ ექიმებს ეუბნებოდნენ, რომ ისინი სამ სემინარს უნდა დასწრებოდნენ, რათა საკუთარი მარკეტინგული იდეოლოგია განეხორციელებინათ. ახლა აგიხსნით, როგორ შეფუთეს საკუთარი მარკეტინგული კამპანია – ესაა ზიანის შემცირება, თითქოს გახურებადი თამბაქო ნაკლებად ზიანის მომტანია. არადა, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცხადებს, რომ გახურებადი თამბაქო იგივე თამბაქოს პროდუქტია, რომელშიც იმ ტოქსინების გარდა, რაც ჩვეულებრივ თამბაქოშია, სხვა, განსხვავებული ტოქსინებიც გვხვდება, რომლებიც არანაკლებად აზიანებს ადამიანს, ვიდრე თამბაქო.

მთავარი ამბავი ისაა, რომ გახურებადი თამბაქოს პროდუქტს ქიმიურად ამუშავებენ, რათა ისე არ დაიწვას, როგორც თამბაქო, მაგრამ ქიმიური დამუშავების შედეგად, მასში სპეციალურ ქიმიურ დანამატებს ურევენ, რაც უფრო მეტად ტოქსიკურს ხდის ამ პროდუქტს. ახალი ტიპის ტოქსინების კონცენტრაციაში უფრო მეტი ნიტროზამინები და ფორმალდეჰიდი, ასევე, აკროლეინია, რომლებიც უფრო მეტი კონცენტრაციით შედის კვამლში, ვიდრე ჩვეულებრივ თამბაქოში. ნიტროზამინები კიბოს წარმომქმნელი ნივთიერებებია. მეტიც, ჯანმო-ს განცხადებით, გახურებადი თამბაქოს პროდუქტიც ზუსტად ისევე უნდა რეგულირდებოდეს, როგორც ჩვეულებრივი თამბაქო, იგივეს ამბობს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციით, მხარეთა კონფერენციაც, რომელიც 2019 წელს გაიმართა და ამ კონფერენციას მეც ვესწრებოდი. მხარეებმა აღიარეს მაშინ, რომ ელექტრონული სიგარეტი, გახურებადი თამბაქო და ახალი ტიპის პროდუქტი, რომელიც ჯერ არ შექმნილა, მაგრამ შესაძლოა, შექმნას თამბაქოს ინდუსტრიამ, მინიმუმ ისე უნდა რეგულირდებოდეს, როგორც თამბაქოს პროდუქტი. ამერიკის შეერთებული შტატები ამ კონვენციის წევრი არ არის და შესაბამისად, ის თავისუფალია ამ ვალდებულებებისგან. სხვათა შორის, ამერიკის საკვებისა და წამლის სააგენტოს იმ გადაწყვეტილებამ, რომელზეც ინტერვიუს დასაწყისში გიამბეთ, დისონანსი შეიტანა აშშ-შიც, რადგან ზოგიერთ შტატში აკრძალულია გახურებადი თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია, ზოგან დაშვებულია.

– გასაგებია... თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაშიც ადანაშაულებთ, დამიკონკრეტეთ, რატომ?

– იმიტომ, რომ ამ მარკეტინგული ხრიკის საშუალებით, თამბაქოს ინდუსტრია ორი პროდუქტის პოპულარიზაციას ახორციელებს – ელექტრონული სიგარეტისა და გახურებადი თამბაქოსი. გახურებად თამბაქოზე უკვე მოგიყევით, ელექტრონული სიგარეტი შედარებით განსხვავებული პროდუქტია.

შესაძლოა, მასში ბევრი დენამატი არ იყოს და ამის დასტურად ინგლისში ჩატარებული კვლევა მოაქვთ, რომელიც „ბრიტიშ-ამერიქან თობაქომ“ დაუკვეთა. ამ კვლევის მიხედვით, თითქოს ელექტრონული სიგარეტიდან 95%-ით ნაკლები რაოდენობით გამოიყოფა ქიმიური ნივთიერებები, რაც ჩვეულებრივ თამბაქოშია. ახლა ეს ორი თემა გააერთიანეს და ამბობენ,

გახურებადი თამბაქო ელექტრონული სიგარეტის მაგვარიაო. შესაბამისად, შეცდომაში შეჰყავთ, როგორც პროფესიონალი ექიმები, ასევე, საზოგადოებაც. იმასაც ამბობენ, თითქოს მავნე ნივთიერებები ამ პროდუქტებში 60%-ით ნაკლებია, შესაძლოა, ასეცაა, მაგრამ თამბაქოს ინდუსტრია მაინც ცრუობს – იმას არ ამბობს, რაც უკვე გითხარით, არ ასახელებს იმ მავნე ქიმიურ ნივთიერებებს, რასაც დიდი რაოდენობით შეიცავს გახურებადი თამბაქოს პროდუქტი. ყველაზე ცუდი ისაა, რომ მათ გარდა, ამ პროდუქტში დამატებით, სხვა ქიმიური ნივთიერებებიცაა! ამაზე არავინ საუბრობს! მეტსაც გეტყვით, ჯანმო-ს განცხადებით, არ არსებობს ტოქსინებისა და კანცეროგენების ის მინიმალური რაოდენობა, რაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო იქნება! შესაბამისად, ნებისმიერი ეს პროდუქტი ჯანმრთელობისთვის საშიშია!

– ბატონო გიორგი, პირადად თუ შეხვდით და ესაუბრეთ ექიმებს, რომლებიც „ფილიპ მორისის“ ორგანიზებულ სემინარებში მონაწილეობდნენ?

– რა თქმა უნდა, შევხვდით და ვესაუბრეთ. სწორედ მათგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ვამბობ, რომ ამ სემინარებზე ექიმებთან იდეოლოგიური მუშაობა მიმდინარეობდა. თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლები ეუბნებოდნენ, რატომ არ შეიძლება გახურებადი თამბაქოს გამოყენება ზიანის შემცირების პროდუქტადო. არადა, ზიანის შემცირების პროდუქტებს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებენ. აბსურდია მათი ერთმანეთთან შედარება და აგიხსნით, რატომ: როდესაც დასავლეთმა ზიანის შემცირების პოლიტიკა დაიწყო, არალეგალური ნარკოტიკების მოხმარება იყო გავრცელებული, ამ არალეგალური ნარკოტიკების მოსაპოვებლად, ადამიანები კრიმინალურ დანაშაულსაც სჩადიოდნენ – იმდენად ძვირადღირებული იყო, რომ ყაჩაღობდნენ და ქურდობდნენ კიდეც. მეორე საშიშროება არალეგალური ნარკოტიკების მოხმარების კუთხით იყო ის, რომ მოიხმარებოდა ინტრავენურად, ჯგუფურად, ერთი შპრიცის საშუალებით. შესაბამისად, ძალიან დიდი იყო ისეთი მომაკვდინებელი დაავადებების გავრცელების რისკი, როგორებიცაა შიდსი და სხვადასხვა ტიპის ჰეპატიტები. სწორედ ეს ორი, უდიდესი ზიანი უნდა შემცირებულიყო, რის გამოც განხორციელდა ზიანის შემცირების პოლიტიკა და ასე გამოჩნდა ნარკოტიკების ჩასანაცვლებელი საშუალებები სხვადასხვა აბებისა და ტაბლეტების სახით. ამიტომ შეუწყო დასავლეთმა ხელი ამ პროგრამებს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია მეტადონის პროგრამა. აი, ეს იდეა დააკოპირეს თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებმა ელექტრონულ სიგარეტთან და გახურებად თამბაქოსთან მიმართებაში და ურცხვად აცხადებენ, რომ მათი გამოყენებით, ზიანი შემცირდება, რაც სრული აბსურდია!

– ყველაფერი ეს ექიმებს არ აუხსენით?

– დიახ და ზოგმა გაიგო, ზოგმა – არა. ეს იმიტომ, რომ ამ სემინარებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხაა გამოყოფილი და მათი მარკეტინგული ხრიკის ანუ ზიანის შემცირების პოპულარიზაციის მიზნით, ლოიალურად განწყობილი ექიმები მიიზიდეს. საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით აწვდიან ინფორმაციას, რომ ეს პროდუქტები – ელექტრონული სიგარეტი და გახურებადი თამბაქო ადამიანის ჯანმრთელობისთვის ნაკლებად ზიანის შემცველია. სხვათა შორის, მივმართეთ ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, რათა მოიკვლიონ, რატომ მოხდა ამ ლეტალური პროდუქციის ანუ ელექტრონული სიგარეტებისა და გახურებადი თამბაქოს უკანონო რეკლამა-პოპულარიზაცია. ამასთან დაკავშირებით ახლა გამოძიება მიმდინარეობს. თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებმა მედიასაშუალებებსაც დაუკვეთეს სტატიები და ამ დაკვეთილი სტატიების საშუალებით, სიცრუის ტირაჟირებას ახორციელებენ საკმაოდ დიდი აუდიტორიის მქონე ონლაინ-გამოცემებში.

თქვენი გაზეთის საშუალებით, მოვუწოდებ რედაქტორებს, რომ თამბაქოს ინდუსტრიის ამ ცრუ ანკესს არ წამოეგონ და საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანონ! მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც საქართველოში, თამბაქოს პროდუქციის რეკლამა აკრძალულია!

ამ სემინარებში მონაწილეობდნენ ონკოლოგები, ფთიზიატრები, კარდიოლოგები, გულ-სისხლძარღვთა სპეციალისტები და ბოლოს, სტომატოლოგებიც ჩაითრიეს ანუ ჩვენი ექიმების საკმაოდ ფართო სპექტრი. ვისაც ეს საკითხი კარგად ესმოდა, მწვავე დისკუსიაში შედიოდნენ თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. ამ სამ სემინარს არ დავსწრებივარ, მაგრამ დასკვნითი ღონისძიება დაიგეგმა წინანდალში, 24-25 ივნისს, რომლის შესახებაც ორი კვირით ადრე შევიტყვე. იმ პერიოდში პარლამენტში გახლდით, არაგადამდებ დაავადებათა სტრატეგია იხილებოდა და როგორც კი მივიღე ინფორმაცია, სწორედ ამ განხილვის დროს, საჯაროდ განვაცხადე, რომ რამდენიმე ჩვენი კოლეგა აპირებს პრეზენტაციის გაკეთებას თამბაქოს ინდუსტრიის მიერ დაფინანსებულ ღონისძიებაზე და გთხოვთ, მოუწოდოთ ამ ხალხს, არ წამოეგონ ანკესს და არ მიიღონ მონაწილეობა.

როგორც უკვე გითხარით, რამდენიმე ექიმს პირადად შევხვდი და მართალია, თავიდან ბევრი ვერ მიხვდა, თუმცა მოგვიანებით, ბევრმა მათგანმა ამ ღონისძიებაში მონაწილეობა გადაიფიქრა, მათ არც კი იცოდნენ, ვინ იყო ამ ღონისძიების ორგანიზატორი, რადგან ისინი ამ სემინარებზე „სოციალური კვლევების ინსტიტუტმა“ მიიწვია. უფრო ზუსტად, „ფილიპ მორისმა“ ექიმების მოწვევა „სოციალური კვლევების ინსტიტუტს“ დაუკვეთა, რომელიც უკავშირდებოდა ექიმებს და მოსაწვევს უგზავნიდა. მოსაწვევზე უკვე „ფილიპ მორისის“ სახელიც ფიქსირდებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს უკანონო სპონსორობის ფაქტი გახლდათ.

– ბატონო გიორგი, წინანდალში, ამ ღონისძიებაზე თქვენ როგორ მოხვდით?

– როგორც გითხარით, ღონისძიების შესახებ ორი კვირით ადრე შევიტყვეთ და შემოსავლების სამსახური თავიდანვე გავაფრთხილეთ, რომ უკანონო აქტი იგეგმებოდა. სხვათა შორის, ექიმებიც გავაფრთხილეთ და მოვუწოდეთ, არ მიეღოთ მონაწილეობა ამ უკანონობაში. შემოსავლების სამსახურთან ერთად, ერთობლივი ღონისძიება დავგეგმეთ და წინანდალში ჩავედით. სასტუმროს დარბაზის კარი, სადაც შეხვედრა ტარდებოდა, ჩაკეტილი იყო, მაგრამ გავაღებინეთ და დავესწარით. პრეზენტაცია წარადგინა სანდრო ურუშაძემ, ამის შემდეგ გამოვიდა ბატონი ნიკა ნანუაშვილი, რომელიც ბიზნესასოციაციის იურიდიული სამსახურის უფროსი გახლავთ. ბიზნესასოციაციამ, რომლის წევრიცაა „ფილიპ მორისი“, სამჯერ შეიტანა კანონპროექტი პარლამენტში განსახილველად, თამბაქოს ინდუსტრიის სასარგებლოდ, მაგრამ სამივეჯერ უშედეგოდ.

ამ ღონისძიებაზე ღიად თქვეს, რომ გახურებადი თამბაქო

ნაკლები ზიანის მომტანი პროდუქტია, რის გამოც მასზე უნდა გავრცელდეს ლიბერალური მიდგომები. ამის შემდეგ დაიწყო დისკუსია, სადაც სიტყვით გამოვედი და მივმართე ჩემს კოლეგებს – ექიმებს, ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს და მის ყოფილ მოადგილეებს, ასევე, სოციალური სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს, დაავადებათა კონტროლის სამმართველოს ყოფილ ხელმძღვანელს, რომლებიც თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესებს იცავდნენ და არა – საზოგადოებრივი ჯანდაცვის. ვთხოვე, რომ არ წამოგებოდნენ თამბაქოს ინდუსტრიის ანკესს, მაგრამ შეურაცხყოფა მომაყენეს, დაცვას გამოუძახეს და მომთხოვეს, დარბაზი დამეტოვებინა.

ამასობაში, შემოსავლების სამსახური მობილიზებული იყო და როგორც კი დარბაზი დავტოვე, უკვე შემოსავლების სამსახურმა დაიწყო ფაქტის მოკვლევა. გამოკითხეს „ფილიპ მორისის“, ასევე, „სოციალური კვლევების ინსტიტუტის“ წარმომადგენლები და სასტუმროს მენეჯმენტი.

– ფაქტობრივად, ეს ღონისძიება ჩაშალეთ, მაგრამ რა ბედი ეწია კანონპროექტს, რომელიც პარლამენტში შეიტანეს განსახილველად, რათა გახურებადი თამბაქოს პროდუქციის გადასახადი შემცირებულიყო?

– როგორც ვიცი, ამ კანონპროექტს პარლამენტი არ განიხილავს! კონვენციის მეხუთე მუხლის მესამე პუნქტისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ შეიძლება თამბაქოს ინდუსტრიის მონაწილეობა თამბაქოს კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და დანერგვის პროცესში! აქედან გამომდინარე, პარლამენტი არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერს მხარს იმ ინიციატივებს, რაც თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებისგან მოდის!

* * *

„ვერსიას“ დაავადებათა კონტროლის ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, ლელა სტურუა ესაუბრება.

– ქალბატონო ლელა, იცოდით, რომ წინანდალში, „ფილიპ მორისის“ ორგანიზებით, სემინარი გაიმართა, რომელშიც ექიმებიც მონაწილეობდნენ?

– ამის შესახებ „თამბაქოს კონტროლის ალიანსისგან“ შევიტყვე. ამის შემდეგ, დავიწყეთ მოძიება, პირველ რიგში, გავარკვიეთ, რომ ორგანიზატორი გახლდათ „სოციალური კვლევების ინსტიტუტი“, პირადად დავუკავშირდი ამ ორგანიზაციას და ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი მომცეს, თუმცა მან ჩემს ზარებს არ უპასუხა. შემდეგ, პირადად ბატონი ამირან გამყრელიძე ესაუბრა ხელმძღვანელს და გარდა ამისა, მივმართეთ წერილობითაც, რომლითაც მოვთხოვეთ, არ ჩაეტარებინათ ეს ღონისძიება. წერილში დეტალურად ავხსენით, თუ რატომ არ უნდა ჩაეტარებინათ და რატომ არ უნდა აეღო არცერთ ორგანიზაციას თამბაქოს ინდუსტრიისგან გარკვეული თანხა, მით უმეტეს, როდესაც თამბაქოს მოხმარების პრევენციაზე ვსაუბრობთ, სადაც ექიმებიც მონაწილეობენ. ეს კატეგორიულად დაუშვებელი და აბსურდია! სამწუხაროდ, არ გაითვალისწინეს და ღონისძიება მაინც ჩატარდა.

გარდა ამისა, პირადი კომუნიკაცია გვქონდა სხვადასხვა ექიმთან, ბევრი მათგანის გადარწმუნება შევძელით. ეს ინფორმაცია სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმაც შეიტყო და თავის მხრივ, გააფრთხილა პროფესორები, რათა ამ ღონისძიებას არ დასწრებოდნენ. რაც მთავარია, თითოეული ექიმი გავაფრთხილეთ, რომ დაავადებათა კონტროლის ცენტრი არ ითანამშრომლებს იმ ადამიანებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც რაიმე ტიპის სარგებელს იღებენ თამბაქოს ინდუსტრიისგან, იქნება ეს ჰონორარი, დაფინანსება, სადმე ერთი ღამის გათევა თუ ჭიქა ყავის მირთმევა! შესაბამისად, ის ადამიანები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან „ფილიპ მორისთან“ და „სოციალური კვლევების ცენტრთან“, ჩვენთან ვეღარ ითანამშრომლებენ! მეტიც, კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენებთ ჩვენს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ჩატარებას იმ სასტუმროებში, სადაც თამბაქოს ინდუსტრიის დაფინანსებით, სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა. ამ მხრივ, დაავადებათა კონტროლის ცენტრი, როგორც სამთავრობო კომისიის სამდივნო და როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია თამბაქოს კონტროლის გაძლიერების მიმართულებით, ცალსახად ძალიან მკაცრია.

– რას აკეთებს სახელმწიფო თამბაქოს კონტროლის გასაძლიერებლად?

– ძალიან ბევრ რამეს: ვატარებთ კვლევებს, ვმუშაობთ ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე, მათ შორის, არის ერთი, რომელიც არასწორად გააშუქა მედიამ. ეს გახლავთ ტაქსებსა და კერძო ავტომობილებში, სადაც არასრულწლოვანი იმყოფება, თამბაქოს მოხმარების აკრძალვა. ხაზს ვუსვამ, სადაც არასწრულწლოვანი იმყოფება! ტაქსებში – ნებისმიერ შემთხვევაში, ხოლო მსუბუქ ავტომობილში – მხოლოდ მაშინ, თუ იქ არასრულწლოვანია. გარდა ამისა, გვაქვს საკომუნიკაციო აქტივობები და ზოგადად, ცენტრი თამბაქოს კონტროლის მიმართულებით, ძალიან აქტიურია.

რაც მთავარია, 15 ქვეყანას შორის, საქართველო პირველი ევროპული ქვეყანაა, რომელიც FCDC-2030-ის პროექტის მონაწილეა. საკმაოდ კარგი ურთიერთობები გვაქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კარგი შედეგებიც გვაქვს თამბაქოს ახალი კანონმდებლობის მიღებიდან ანუ 2017 წლიდან, დღემდე. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ თამბაქოს გავრცელება და მოხმარება საგრძნობლად შემცირდა ქვეყანაში. შესაბამისად, თამბაქოს ინდუსტრიამ ნახა რა, რომ საქართველო აღარ გამოადგებოდა გასამდიდრებლად, დაიწყო ელექტრონული სიგარეტისა და გახურებადი თამბაქოს პროდუქციის პოპულარიზაცია. ამიტომ ცდილობს, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს და ეს პროდუქცია შეასაღოს, როგორც თამბაქოზე თავის დანებების საშუალება, რაც სრულებით არ შეესაბამება სიმართლეს.

– მაპატიეთ დილეტანტური კითხვისთვის, მაგრამ როგორ უნდა მოიქცნენ მოქალაქეები, რომლებსაც მოწევა აღარ სურთ, ვის უნდა მიმართონ?

– ყველა ადამიანს თავისი ინდივიდუალური გზა აქვს, მაგრამ მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, ყველაზე ეფექტური და ხელმისაწვდომია თამბაქოზე თავის დანებების ცხელი ხაზი, რომელიც კვირაში 7 დღის მანძილზე, 10-დან 19.00 საათამდე მუშაობს. ადამიანს შეუძლია დარეკოს ცხელ ხაზზე და მისი ინდივიდუალური მდგომარეობის შესაბამისად, მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დატრენინგებული ფსიქოლოგები გაუწევენ რეკომენდაციას. გარდა ამისა, გვაქვს მობილური აპლიკაცია – „თავს ვანებებ“, რომელიც უფასოა და შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ თქვენს ტელეფონში. ადაპტირებული გვაქვს ამერიკის კიბოს ინსტიტუტის მიერ შექმნილი აპლიკაციაც, რომელიც საჩუქრად გადმოგვცეს და ეს აპლიკაცია, როგორც თამბაქოზე თავის დანებების საშუალება, აღიარებულია მსოფლიოში.

პირველადი ჯანდაცვის ექიმები გადამზადებულები არიან, მაგრამ სამწუხაროდ, არ ხდება მათი გამოყენება ამ მიზნით. ვისაც თამბაქოსთვის თავის დანებება სურს, პირველადი ჯანდაცვის ექიმს ნაკლებად აკითხავს ხოლმე. ახლა გამოჩნდა ორგანიზაცია, რომელიც საკუთარი, ფსიქოლოგიური მეთოდით თანამშრომლობს და სრულ თანხვედრაშია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციფიკასთან.

SOS! – სამთავროს დედათა მონასტერი საფრთხეშია!

ანუკი გაგულიძე

გაჭვარტლულ-გამურული ინტერიერი, ცენტრალური სარკმლის დაზიანებული ფასადი და თუნუქის თეთრი სახურავი – რატომ ვერ უვლის საპატრიარქო ტაძარს

სამთავროს ტაძარი მცხეთის შუაგულში მდებარეობს. გადმოცემის თანახმად, ამ ადგილას მთავრის სამყოფელი ყოფილა, სწორედ აქედან მოდის მისი სახელწოდება – „სამთავრო“. ტაძარში დასაფლავებულია პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი და ნანა დედოფალი. 1811 წლიდან კი, დედათა მონასტერი ფუნქციონირებს. საუკუნეების განმავლობაში, დიდი ყურადღება ექცეოდა მცხეთაში არსებულ ყველა კულტურულ ძეგლს, მათ შორის, სამთავროს ტაძარსაც, მაგრამ ტაძრის დღევანდელი მდგომარეობა სხვა რამეზე მეტყველებს.

რამდენიმე დღის წინ, დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ, სოციალურ ქსელში გაავრცელა სამთავროს ეკლესიის მძიმე ფოტოები. „ვერსია“ დეკანოზს დაუკავშირდა და უფრო კონკრეტულად ავახსნევინეთ, თუ რა პრობლემების წინაშე დგას ამჟამად ტაძარი. ჩვენთან საუბრისას, დეკანოზმა სამი ძირითადი საკითხი გამოჰყო: ინტერიერის კატასტროფული გაჭვარტლვა-გამურვა, დასავლეთ ცენტრალური სარკმლის დაზიანებული ფასადი და სახურავი, რომელიც სრულიად შეუფერებელია და ამახინჯებს იერსახეს.

„სამთავროს ტაძრის პრობლემებიდან, ჩემი დაკვირვებით, გამოსაყოფია სამი მთავარი პრობლება: ინტერიერის კატასტროფული გაჭვარტლვა-გამურვა, პარაფინის სანთლების მასობრივი გამოყენების შედეგად. ტურისტული და პილიგრიმული თვალსაზრისით, სამთავროს ტაძარი ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია საქართველოში; დღეში ათიათასობით პარაფინის სანთელი ინთება, რაც ინტერიერის, კედლებისა და ფრესკების გამურვას იწვევს. მეორე პრობლემაა დასავლეთ ცენტრალური სარკმლის ფასადის დაძრული და მორყეული „პერანგის“ ქვები, რომელიც ცემენტის ხსნარითაა დასვრილი. მესამე პრობლემა კი ტაძრისთვის შეუფერებელი, თუნუქის თეთრი სახურავია“.

როგორც დეკანოზი ილია ჭიღლაძე ამბობს, საპატრიარქოს მზრუნველობა კულტურული ძეგლების მიმართულებით, არაფერში ვლინდება და მსგავსი ძეგლები მთლიანად სახელმწიფოსა და კერძო სექტორის იმედადაა დარჩენილი.

„აუცილებელია, თუთიის მოშორება და არსებული ქვის ლორფინის სახურავის აღდგენა, რითაც ტაძრის ისტორიულ-არქიტექტურული იერსახე სრულყოფილად აღდგება. საპატრიარქოს მზრუნველობა საეკლესიო ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაციის მიმართულებით, არაფერში ვლინდება. ის არ აფინანსებს ამ მიმართულებას, შესაბამისად, ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაცია მთლიანად სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მიერ გაღებული ფინანსებზეა დამოკიდებული. სამთავროს მონასტერს, როგორც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლს, განსაკუთრებული ყირადღება სჭირდება, როგორც სახელმწიფოს, ასევე მისი მფლობელი იურიდიული პირის ანუ საპატრიარქოს მხრიდანაც. თუმცა, რეალურად, პარაფინის სანთლების მასობრივი გამოყენებით, საპატრიარქო მხოლოდ აზიანებს ამ ტაძარსაც და სხვებსაც“.

დეკანოზის განცხადებით, არც ერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში, ტაძრებს მსგავსი პრობლემა არ აქვთ. სამწუხაროდ, საქართველოში, ეს ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად ითვლება.

„ისტორიულად ისეთ მართლმადიდებლურ ქვეყნებში, როგორებიცაა, მაგალითად, საბერძნეთი, ბულგარეთი, რუმინეთი... გამორიცხულია, ტაძრებში ასეთი ვანდალიზმი. სანთლებს ანთებენ ტაძრების სტოაში, რომელსაც აუცილებლად აქვს გამწოვი, შედეგად, მათი მასობრივი დაკვამლიანება, ინტერიერისა და ფრესკების გამურვა გამორიცხულია. ჩვენთან კი ეს ასე არ ხდება და უმწვავესი პრობლემა გვაქვს, რომელზეც სახელმწიფოს შესაბამისი უწყებებიცა და სპეციალისტებიც დუმილს ამჯობინებენ. ტაძრების ინტერიერების გამურვა განსაკუთრებით ხალხმრავალ-მრევლმრავალი ტაძრების პრობლემაა და სამთავროც მათ შორისაა“.

ინფორმაციის გადასამოწმებლად, „ვერსია“ საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახურს დაუკავშირდა, მაგრამ უშედეგოდ – ამ დრომდე, პასუხი ვერ მივიღეთ.

ამის შემდეგ დავინტერესდით, რამდენადაა ცნობილი ეს პრობლემა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის, საიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ:

„ეს გახლავთ საბჭოთადროინდელი, ქვის კონსერვაციის შედეგი, როგორი მდგომარეობაცაა სამთავროში. უკვე მეორე წელია, მცხეთის ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციის თვალსაზრისით, ორი საკონსერვაციო პროექტის განხორციელება დავიწყეთ – ეს გახლავთ ჯვრისა და სვეტიცხოვლის კონსერვაციის პროგრამა. სამომავლოდ, სამთავროზეც ჩატარდება მსგავსი საკონსერვაციო სამუშაოები, მაგრამ ამჟამად, ფინანსური რესურსებისა და სპეციალისტების ნაკლებობიდან გამომდინარე, არ გვაქვს იმის მოცემულობა, რომ კონსერვაციის თვალსაზრისით, მცხეთის ისტორიული ძეგლები სრულად მოვიცვათ. შესაბამისად, ეს პროგრამა სამომავლოდ გადაიდო“.

სამართალი

№24 14 ივლისი 2021 წ

ქართველმა „კანონიერმა ქურდმა“ პასპორტი... შეჭამა!

ბათო ჯაფარიძე

რა მოხდა ბორისპოლის აეროპორტში და რატომ ცხოვრობს „ავთო კოპალა“ დღემდე ავიალაინერში

საოცარი რამ ხდება უკრაინაში. ჰო, სწორედ ახლა ხდება, რადგან პროცესი ჯერ არ დასრულებულა და ეჭვი გვაქვს, საინტერესო გაგრძელება ექნება. მოკლედ, უკრაინელმა სამართალდამცავებმა „კანონიერი ქურდი“, ავთანდილ კობეშავიძე (მეტსახელად, „ავთო კოპალა“) დააკავეს. სასამართლომ ქვეყნიდან მისი დეპორტაციის გადაწყვეტილება მიიღო და კობეშავიძეს ორი არჩევანი შესთავაზა – რუსეთი, სადაც ის 2019 წლის შემდეგ იძებნება და საქართველო, სადაც სტატუსისთვის უეჭველად ციხე ელოდება. თავად დაკავებულს უკრაინაში დარჩენა სურდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა – 10 ივლისს, ის ბორისპოლის აეროპორტში მიიყვანეს და ბათუმის რეისზე დასვეს. იმავე რეისით, აჭარაში ექსკურსიაზე, 100 ბავშვი მიფრინავდა და შესაბამისად, პირველად ლაინერში კობეშავიძე ავიდა, რათა ბავშვებს არ დაენახათ ბორკილდადებული კაცი როგორ მიჰყავდათ სამართალდამცავებს.

ყველაზე საინტერესოც აქ დაიწყო – თვითმფრინავში ასვლისთანავე, კობეშავიძეს პასპორტი დაუბრუნეს, რომელიც მან... იქვე, სამართალდამცავთა თვალწინ შეჭამა. ცხადი გახდა, პასპორტის გარეშე, მას ქართული მხარე არ მიიღებდა, თუმცა...

„უკრაინის კანონმდებლობის მიხედვით, უსაბუთო კაცს ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის უფლებას ვერ მივცემთ“, – ეს უკვე უკრაინელი სასაზღვრო დეპარტამენტის განცხადებაა ანუ კობეშავიძე არც უკრაინაში შეუშვეს და საერთოდ, თვითმფრინავიდანაც არ ჩამოიყვანეს.

სანამ ეს იწილო-ბიწილო გრძელდებოდა, გაირკვა, რომ ლაინერი სამართალდამცავებს კობეშავიძის დროებითი დაკავების იზოლატორად სჭირდებოდათ და ამიტომ, რეისი, რომელიც ბათუმში უნდა გამოფრენილიყო და 100 უკრაინელი ბავშვი ჩამოეყვანა, საერთოდ გაუქმდა.

YanAir-ს წარმომადგენლებმა ბავშვებსა და მშობლებს ბოდიში მოუხადეს შეფერხებისთვის და აუხსნეს, რომ თავისუფალი ლაინერი იმ დროისთვის არ ჰყავდათ, ფრენა კი 11 ივლისს განხორციელდა.

საქმე ამით რომ არ დასრულდება, ცხადია. საავიაციო კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ შეფერხება სამართალდამცავთა გამო შეექმნათ და როგორც მორალური, ისე მატერიალური ზარალი, რეისის სხვა მგზავრებს, სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა აუნაზღაუროს. შსს ხელს ავიაკომპანიისკენ იშვერს და აცხადებს, რომ მგზავრების სასტუმროში დაბინავება და კვება მათი პრეროგატივა გახლდათ ანუ ამ 100-მა ბავშვმა მშობლებთან ერთად, ღამე... „ბორისპოლის“ აეროპორტში გაათენეს და ისინი ჩივილს აპირებენ.

ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ კობეშავიძესთან დაკავშრებით, ჯერჯერობით, გადაწყვეტილება მიღებული არ არის და ის ისევ ლაინერში ცხოვრობს.

საქმე ის გახლავთ, რომ მას ქართული პასპორტი ჰქონდა, რომელსაც უკრაინა ვერანაირად ვერც დაამზადებს და ვერც გასცემს, დაკავებული კი პასპორტის გაცემის თაობაზე, საქართველოს საელჩოსთვის მიმართვას არ აპირებს.

საქართველოსა და უკრაინის აბორდაჟის ჯგუფების ერთობლივი წვრთნები ჩატარდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აბორდაჟის ჯგუფებმა, უკრაინელ კოლეგებთან ერთად, მრავალეროვნული საზღვაო სწავლება – „SEA BREEZE-2021“-ის ფარგლებში, ერთობლივი წვრთნები ჩაატარეს.

წვრთნების მიმდინარეობისას, საქართველოს სანაპირო დაცვის წარმომადგენლებმა, უკრაინის საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის წარმომადგენლებთან ერთად, ბერძენი ინსტრუქტორების ჩართულობით, დაგეგმეს და განახორციელეს მაღალი რისკის შემცველი აბორდაჟის ოპერაცია, რომელიც მოიცავდა დამრღვევი გემის შეჩერებას, ტაქტიკური კიბით ასვლას, გადაადგილებას, ხომალდზე მყოფი პირების შემოწმების პროცედურებს და გემზე კონტროლის დამყარებას.

აშშ-ის მე-6 ფლოტისა და უკრაინის საზღვაო ძალების ერთობლივი ორგანიზებით, სწავლება – SEA BREEZE, შავ ზღვაში, 28 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით იმართება. სწავლება საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო კომპონენტებს მოიცავს და მისი მიზანია, მონაწილე ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალებს შორის ურთიერთქმედების დახვეწა, ასევე, რეგიონული საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათი ერთობლივი შესაძლებლობების გაზრდა. სწავლების ისტორიაში, „SEA BREEZE-2021“ ყველაზე მასშტაბურია. მასში ექვსი კონტინენტის 32 ქვეყნის 5 000-მდე პერსონალი, 32 გემი, 40 საჰაერო ხომალდი და სპეციალური ოპერაციებისა და მყვინთავთა 18 ჯგუფი მონაწილეობს.

მკვლელობა სადარბაზოში – ლტოლვილი გოგო არყით მოწამლეს

ვინ შეუკვეთა ახალგაზრდა ქალის მკვლელობა და როგორ გავიდა გამოძიება დამნაშავეზე

ბათო ჯაფარიძე

აფხაზეთის ომის შემდეგ, თბილისში, ნაომარ ბიჭებთან ერთად, ათეულ ათასობით დევნილიც ჩამოვიდა. დედაქალაქი იყო ადგილი, სადაც ამ ადამიანებს გადარჩენის შანსი ჰქონდათ. მაშინ მთელ ქვეყანას უჭირდა, ეკონომიკა, პრაქტიკულად, არ არსებობდა, ზედმეტი იყო საუბარი სტაბილურ სამსახურზე და თუ ვინმე მუშაობდა, ხელფასს წელიწადში 3-4-ჯერ იღებდა. ყველაფერმა ამან, ისედაც მძიმე კირმინალური ფონი კიდევ უფრო დაამძიმა. სამართალდამცავებს 24-საათიან რეჟიმში უწევდათ მუშაობა და ვაი, რომ მაშინ ყველაზე ხშირად საკვებს იპარავდა ხალხი – მოსახლეობას, უბრალოდ, შიოდა და საარსებო წყარო არ ჰქონდა. გამონაკლისი არც მძიმე შემთხვევები იყო და როცა ერთ-ერთ სადარბაზოში გარდაცვლილი გოგონა ნახეს, ბევრს არ გაჰკვირვებია. მკვლელობა მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო.

„ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტებთან ერთად გავედით. არყის საშინელი სუნი იდგა, ექსპერტმა გოგოს სახეზე დასუნა კიდეც და თქვა, ალკოჰოლი აქვს მიღებული, შეიძლება, არყით მოიწამლა, ინტოქსიკაციის ლაქებიც აქვს გვამსო. როგორც წესი, არავის არაფერი გაუგონია, მხოლოდ ის თქვეს, რომ გოგონა მეზობელ სადარბაზოში ცხოვრობდა, ლტოლვილი იყო და ბინას მეგობარ გოგოსთან ერთად ქირაობდაო. რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, მისი მეგობრის მოძებნა და ბინის დათვალიერება გადავწყვიტეთ“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ვინც არ იცის, გეტყვით, რომ მაშინ ტელევიზიიდან ნეგატიური ინფორმაციის გადაცემა, პრაქტიკულად, აკრძალული იყო. არსებობდა წიგნი – დიქტორების სახელმძღვანელო და იქ ისიც კი ეწერა, ცუდი ამინდის პროგნოზი როგორ დამაიმედებლად და პოზიტიურად უნდა გამოეცხადებინათ, თუმცა ყველაფერი ეს უკვე მოშლილი იყო და იმის მიუხედავად, რომ დიქტორები ძველები იყვნენ, ნეგატივს ვეღარ გაურბოდნენ.

დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა – საინფორმაციო გამოშვებები ნეგატივით იწყება და მისი ყურების შემდეგ ჩნდება განცდა, რომ არასდროს არაფერი გვეშველება. ადრე კი, საინფორმაციოს მოსმენის შემდეგ, მოსახლეობა იმედიანად იძინებდა, მომავალი დღის იმედი ჰქონდა.

... ბინა ჩვეულებრივი, ერთოთახიანი იყო, ძველი ავეჯით გაწყობილი და გვარიანად არეულ-დარეული. ისე ჩანდა, ვიღაცა რაღაცას ეძებდა. იატაკზე სითხე ესხა, ექსპერტმა მასაც დასუნა და თქვა, არაყია, ოღონდ რაღაც სპეციფიკური სუნი დაჰყვებაო და ნიმუში აიღო. ამ დროს, გარდაცვლილის მეგობარიც დაბრუნდა და როცა მომხდარის შესახებ გაიგო, გული წაუვიდა. ამას ვერ ითამაშებდა, რადგან გულის წასვლა მიზანმიმართულად თითქმის შეუძლებელია, რაც სამართალდამცავებს საფუძველს აძლევდა, ეფიქრათ, რომ გოგონამ ან საერთოდ არაფერი იცოდა, ან ყველაფერს ხვდებოდა. აზრზე მოყვანის შემდეგ, ძლივს თქვა, ვერ ვხვდები, ჩემი მეგობრის სიკვდილი ვის რაში დასჭირდა, ყველამ იცოდა, რომ უღარიბესად ვცხოვრობთ, ობლები ვართ და თავს სხვისი სახლების დალაგებით ვირჩენთო. ბედის ირონიით, ისინი აფხაზეთში ერთად სწავლობდნენ, დედა არცერთს ჰყავდა, ომის დროს, მამები საქართველოსთვის დაიღუპნენ, ძმები სამეგრელოში დარჩნენ და იქ ცდილობდნენ მოწყობას, გოგონებმა კი ერთად გადაწყვიტეს ცხოვრება და შრომა. მეზობლების გამოკითხვამ აჩვენა, რომ გოგოებთან არც ღრეობა იმართებოდა, მათთან სტუმრადაც არავინ დადიოდა და რაც მთავარია, გამორიცხული იყო, ალკოჰოლი მიეღოთ, რადგან არყის ფული კი არა, პურსაც ხშირად ნისიაზე იღებდნენ უბნის მაღაზიაში. გოგონას საფუძვლიანი დაკითხვა მეორე დღისთვის გადაწყდა.

„არც კი ვიცი, რა მოვყვე. ამ ბინაში ნახევარი წელია, ვცხოვრობთ და ორი თვის ქირა გადასახდელი გაქვს. საქმე ისაა, რომ სამუშაო ძალიან ჭირს და სახლების დალაგებაშიც არ გვიხდიდნენ იმდენს, ყველაფრისთვის გვყოფნოდა. ზაფხულში ზამთრის ფეხსაცმელებით დავდიოდით, იმით, რითაც აფხაზეთიდან წამოვედით. მე ერთ-ერთ ოჯახში მოსამსახურედაც ვარ, თუმცა მათაც გაუჭირდათ და ხელფასს ვეღარ მიხდიან. მაინც დავდივარ, ვეხმარები, საჭმელს მაჭმევენ და ესეც შეღავათია“, – თქვა გოგონამ.

ოჯახი, სადაც ის მოსამსახურედ იყო, აფხაზეთის ომის ვეტერანისა გახლდათ, თურმე, ოჯახის უფროსმა, რომელმაც აფხაზეთში ფეხი დაკარგა, მტირალი გოგო სკვერში ნახა, ამბავი გამოჰკითხა და უთხრა, ჩემთან წამოდი, ოჯახში, დამხმარე იქნები, შვილივით მოგივლიო. მართლაც, ორი თვე ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, შემდეგ ის კაცი მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაიცვალა, დიასახლისმა კი, რომელსაც „უპატრონო“ გოგო გულზე არც მანამდე ეხატებოდა, მისი გაგდება მოისურვა, თუმცა შვილმა არ დაანება, იყოს, მადლიაო. სამაგიეროდ, ხელფასი შეუწყვიტეს და გოგოც კვირაში ორჯერ მიდიოდა, ალაგებდა, საჭმელს აჭმევდნენ და ცოტას შინაც ატანდნენ. აბსურდი იყო იმაზე ფიქრი, რომ ვინმეს შეეძლო გოგონებისთვის მხოლოდ იმიტომ ემტრო, რომ მაგალითად, სახლი ვერ დაულაგეს. ყველაფერი ეს, შემთხვევით მკვლელობას ჰგავდა ანუ ვიღაცებმა ბინის გასუფთავება გადაწყვიტეს, შევიდნენ, იქ გოგო დახვდათ და მოკლეს, თუმცა გამომძიებელს არაყი მოსვენებას უკარგავდა, ვერ ხვდებოდა, რატომ ჰქონდა გოგოს მიღებული ალკოჰოლი და რაც მთავარია, სახლში არყის ცარიელი ბოთლიც კი ვერ იპოვეს.

ექსპერტის დასკვნაც მალე გახდა ცნობილი: გოგოს ხელებსა და ტანზე სილურჯეები ეტყობოდა ანუ ის იბრძოდა და დაზიანებები ჰქონდა ლოყების, როგორც გარე, ისე შიდა მიდამოებში. ექსპერტის აზრით, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მას მოწამლული არყის დალევა აიძულეს. სწორედ რომ მოწამლულის, რადგან სასმელში შხამის სასიკვდილო დოზა იყო გარეული. ძალიან დიდი ალბათობით, მკვლელები ფიქრობდნენ, რომ საფუძვლიან ექსპერტიზას იმ დროს, უბრალოდ, არავინ ჩაატარებდა.

„ეს, მინიმუმ, იმას ნიშნავდა, რომ ვიღაცამ გოგო მიზანმიმართლად მოკლა. მისი მეგობრისგან ვიცოდით, რომ სახლში ძვირფასეულობა არ იყო და ბოლო ვერცხლის ბეჭედი ერთი თვის წინ, 8 ლარად გაყიდეს. რეალურადაც, მათი ჩაცმულობის შემხედვარე ადამიანს გაქურდვის სურვილი არ გაუჩნდებოდა და შემთხვევითობასაც აღარ ჰგავდა ყველაფერი ეს. სად გვეძებნა და ვინ გვეძებნა, არ ვიცოდი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ყოველი შემთხვევისთვის, გამომძიებლები იმ ოჯახშიც მივიდნენ, სადაც გოგონა დამხმარედ მუშაობდა. ფიქრობდნენ, ეგებ, მათ ეთქვათ რამე ისეთი, რაც თუნდაც გოგონამ დამალა ან გამორჩა. დიასახლისის დაკითხვამ ახალი არაფერი მისცა, მისმა შვილმა კი ჩაილაპარაკა, მალე მოვიყვან ცოლად და იმ ბინიდან სამუდამოდ წამოვა, მარტო აღარ იქნებაო. ეს რაღაც ახალი იყო – გამოდიოდა, ბიჭს გოგოს ცოლად მოყვანა სურდა, თუმცა ამავდროულად, დედამისი მის შინიდან გაშვებას აპირებდა. გოგო კიდევ ერთხელ დაკითხეს და დაადასტურა, იმ ვეტერანის შვილი უყვარდა და ერთად ყოფნას ხელს მხოლოდ სადედამთილო უშლიდათ. იყო თუ არა ეს მოტივი?

„ერთი კვირის შემდეგ, ნარკომანიის განყოფილებიდან კოლეგებმა დამირეკეს. მითხრეს, სასწრაფოდ მოდი, შენთვის სიურპრიზიაო. მივედი და ვიღაც ნარკომანი მანახეს, რომელსაც ისეთი „ლომკა“ ჰქონდა, შემეცოდა, საუბარიც კი უჭირდა. ძლივს გამაგებინა, წამალს თუ გამიკეთებენ, იმ მკვლელობას გავხსნი, ამას წინათ რომ მოხდა, სადარბაზოში გარდაცვლილი გოგო რომ ნახესო. ათ წუთში შევათანხმე უფროსობასთან ყველაფერი და ადგილობრივმა ექიმმა ვენაში ზუსტად იმდენი ნარკოტიკი შეუშვა, „ლომკის“ მოხსნას რომ ეყოფოდა. მან კი მოყოლა დაიწყო“,-ამბობს ბატონი თენგიზი.

„მე არ მომიკლავს, ყველაფერი ჩემმა „პადელნიკმა“ გააკეთა, მე, უბრალოდ, პირს ვუკავებდი. მოწამლული არაყი ერთმა ქალმა მოგვცა, მისამართიც მან მოგვცა, მიდით ამ სახლში, გოგო დაგხვდებათ, ეს არაყი დაალევინეთ და მერე სადმე, სადარბაზოში დააგდეთო. 500 დოლარი „გაგვიმაზა“, აბა, რა ვიცოდით, თუ არაყი მოწამლული იქნებოდა? მივედით, დავალევინეთ, ჩამოვათრიეთ და რომ მივხვდით, მოკვდა, იქვე, მეორე სადარბაზოში მივაგდეთ, მაგრამ მე არ მომიკლავს, პრინციპში, არც ჩემს „პადელნიკს“, არ ვიცოდით, არაყი მოწამლული თუ იყო“, – ეს არის ამონარიდი ნარკომანის ჩვენებიდან.

რაღა თქმა უნდა, „პადელნიკი“ მალე აიყვანეს და აიყვანეს ქალიც... იმ აფხაზეთის ომის ვეტერანის ცოლი, რომელიც ფიქრობდა, რომ მის შვილს ბევრად მეტი ეკუთვნოდა, ვიდრე არაფრის მქონებელი, დევნილი გოგო. მან ზუსტად შეისწავლა გოგონების გრაფიკი, შემდეგ ერთ-ერთ დაქალს სთხოვა, გარდაცვლილი ბინის დასალაგებლად გამოეძახებინა, რაც იმას ნიშნავდა, რომ არასასურველი სარძლო სახლში მარტო იქნებოდა, თუმცა მოხდა გაუთვალისწინებელი – გოგონა, რომელიც შეცდომით მოკლეს, შეუძლოდ გახდა და ვერსად წავიდა, დაქალმა კი მკვლელობის შემკვეთს არ უთხრა, ის გოგო არ მოსულაო, აღარ ჩათვალა საჭიროდ. ასე დარჩა სახლში გოგო, რომელიც ბედისწერამ არ დაინდო. მკვლელებმა კი შეასრულეს ის, რაც დაავალეს – მივიდნენ ბინაში და ვინც დახვდათ, არაყიც იმას დაალევინეს.

„სასამართლომ ქალი საერთოდ გაამართლა, რადგან ნარკომანების მონაყოლი მტკიცებულებად არ მიიღო, თავად ის ნარკომანები კი მხოლოდ მოხმარებისთვის ჩასვეს, აქაოდა, ეს ისტორია შეთხზეს იმისთვის, რომ დოზა მიეღოთო. სამწუხაროდ, გამოძიებას პირდაპირი მტკიცებულებები არ ჰქონდა, თან... მაშინ მართლა სხვა დრო იყო“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

მკვლელი მზარეული

როგორ გავიდა გამოძიება დამნაშავის კვალზე – საარქივო მასალების დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ბოლო დროს, კულინარიული გადაცემები მხოლოდ საქართველოში არაა პოპულარული. საჭმლის კეთების ხელოვნება, მართლაც, სხვა მასშტაბებს იძენს და ახლა მთავარი მხოლოდ ის აღარ არის, საჭმელი გემრიელი იყოს, ვიზუალურადაც ისე უნდა გამოიყურებოდეს, რომ მომხმარებელს შეჭმა დაეწყანოს. ამიტომ, მზარეულები ათასგვარ ხრიკს იგონებენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან და ტექნიკას ყოველდღიურად ხვეწენ. ადრე კი ასე არ იყო. განსაკუთრებით ეს საბჭოთა სასადილოებზე, „ზაბეგალოვკებზე“ ითქმის, სადაც გემრიელად და კომფორტულად ჭამა თითქმის შეუძლებელი გახლდათ. ამის მიუხედავად, თითქმის ყველა სასადილოში იყო ერთი, განსაკუთრებული კერძი, რომელსაც მზარეული დიდი მონდომებით აკეთებდა და კლიენტს სწორედ იმ ერთი კერძით იზიდავდა. ამიტომ, კარგი ხაში ერთ ადგილზე შეიძლებოდა გეჭამა, მწვადი – სხვაგან, ქაბაბი სხვა დაწესებულებაში და ასე დაუსრულებლად.

„ახლა ყველა კუთხეში რესტორანი ან ბარია, ამიტომ ძნელია, გაარკვიო, ვინ სად დადის საჭმელად. ერთი უპირატესობა ისაა, რომ პრაქტიკულად, ყველგან ვიდეოთვალია და ეს სამართალდამცავებს საქმეს უიოლებს. აი, ჩვენ დროს, ვიდეოთვალი არსად იყო და ყველაზე უმნიშვნელო დეტალსაც კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

საკუთარ სადარბაზოში, ქამრით გაგუდილი მამაკაცი მეზობელმა კიბეზე ნახა და, რაღა თქმა უნდა, მილიციაში დარეკა. ადგილზე მისულ სამართალდამცავებს ხელჩასაჭიდი არაფერი დახვდათ – როგორც ჩანდა, თავდამსხმელი მსხვერპლს უკნიდან მიადგა, ქამარი ყულფივით მოარგო და გაგუდა. თავდამსხმელი ფიზიკურად ძლიერი უნდა ყოფილიყო, რადგან გარდაცვლილი პატარა და უღონო ნამდვილად არ ჩანდა. მოკლული უცოლშვილო, რიგითი მუშა გახლდათ, რომელსაც მეზობლები დადებითად ახასიათებდნენ. რაღა თქმა უნდა, უცოლშვილო კაცის სამეგობროში ქალის ძებნა დაიწყეს, თუმცა უშედეგოდ – არც მეზობლები და არც მეგობრები არ ადასტურებდნენ, რომ გარდაცვლილი მექალთანე იყო და ამ მხრივ თავგადასავლებით ვერ დაიკვეხნიდა.

ერთადერთი ხელჩასაჭიდი ის გახლდათ, რომ მამაკაცი სამსახურიდან 17.00 საათზე წამოვიდა, მეზობელმა კი 19.30 საათზე იპოვა. სამსახურიდან სახლამდე, ფეხითაც კი, 15 წუთის სავალი იყო და ახლა ის დარჩა გასარკვევი, სად და ვისთან იყო ამ დროის განმავლობაში.

ცხადი გახდა, მკვლელის ვინაობა, სწორედ ამ მონაკვეთში უნდა ეძებნათ.

ექსპერტიზის დასკვნით, მამაკაცმა რომელიღაც სასადილოში შეიარა, რადგან გამორიცხული იყო, „ვინეგრეტი“ სახლში მოემზადებინა. ორგანიზმში უმნიშვნელო რაოდენობით ალკოჰოლის კვალიც იყო. როცა ექსპერტიზის დასკვნა ოპერმუშაკებმა წაიკითხეს, ერთ-ერთმა თქვა, ვიცი, სადაც ჭამდა, „ვინეგრეტს“ ზეთისხილით, თბილისში, მხოლოდ ერთ ადგილზე აკეთებენ და ის ადგილიც სწორედ იმ გზაზეა, გარდაცვლილს რომ უნდა გაევლოო. სასადილოში დაადასტურეს, რომ მამაკაცი იმ დღეს მათთან ნამდვილად იმყოფებოდა, ვიღაც მეგობარი ახლდა, ჭამეს, მზარეულს აგინეს, რადგან რაღაც არ მოეწონათ, შემდეგ კი იქაურობა დატოვეს და რაც მთავარია, ალკოჰოლი არ მიუღიათ ანუ ისინი იქიდან ფხიზლები გავიდნენ.

თანმხლები მამაკაცის მოძებნა არ გასჭირვებიათ. ის მისი მეგობარი აღმოჩნდა, რომელმაც დაადასტურა, რომ სასადილოდან გამოსვლის შემდეგ, ერთი ბოთლი ლუდი იყიდა, მეგობარმა ორიოდე ყლუპი მოსვა, შემდეგ კი ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

„ათასჯერ რომ მკითხო, რატომო, ვერ გიპასუხებ – არ დავკითხე მზარეული, რომელთანაც ჩხუბი მოუვიდათ. იმდენად აგდებულად და უმნიშვნელოდ თქვა მიმტანმა, მზარეულს აგინესო, ჩვეულებრივ ამბად ჩავთვალე. არადა, წესით უნდა გამომეკითხა და ამის გამო მალე, ძალიან მალე ვინანე“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან ორ კვირაში, ისევ სადარბაზოში, მორიგი თავდასხმა მოხდა. ღამით, შინ დაბრუნებულ ახალგაზრდა კაცს, ზურგიდან მიეპარნენ და ყელზე ქამარი შემოუჭირეს. საბედნიეროდ, თავდამსხმელს კიბეებზე ფეხი დაუცდა და მსხვერპლიცა და მოძალადეც დაგორდნენ, რის შემდეგაც თავდამსხმელი გაიქცა. მომხდარი ძალიან ჰგავდა წინა მკვლელობას და ამიტომ, დაზარალებული დეტალურად გამოჰკითხეს. ისიც გაოცებული იყო, ვერაფრით აეხსნა, ვის შეიძლებოდა გაემეტებინა. გვიამბო, რომ სამსახურიდან ორ მეგობართან ერთად წამოვიდა, სასადილოში შეიარა, ჭამა, იქიდან კი სახლისკენ ფეხით გაუყვა გზას. როგორც გადარჩენილი აცხადებდა, არც კონფლიქტი ჰქონდა ვინმესთან, ცოლის ერთგული იყო – საყვარელი არ ჰყავდა და დაახლოებითაც ვერ ხვდებოდა, ვის შეიძლებოდა გემეტებინა. ჯიბეშიც 20 მანეთამდე ედო და ამის გამო, ადამიანებს მაშინ არ კლავდნენ. სამართალდამცავებმა ის ორი მეგობარიც დაკითხეს და მათ ერთი-ერთში გაიმეორეს დაზარალებულის ჩვენება. წინასწარ მოლაპარაკება გამორიცხული იყო, ამისათვის მათ დრო და შესაძლებლობა არ ჰქონდათ და ან რაში სჭირდებოდათ ტყუილი?!

„ერთადერთი, რაც ამ ორ შემთხვევას საერთო ჰქონდა, ქამრით მკვლელობის მცდელობა და სასადილო იყო. ამიტომ, სასადილოში წავედით და ახლა იქაური პერსონალი გამოვკითხეთ. ყველამ ერთხმად დაადასტურა, რომ სამეული მათთან სადილობდა, ალკოჰოლი არ მიუღია, თუმცა... წასვლამდე მზარეულს დაუძახეს და დედა აგინეს. მათ რაღაც სალათა არ მოეწონათ და გაბრაზების მიზეზიც ეს იყო. ამჯერად მზარეულით დავინტერესდი და მისი მოყვანა მოვითხოვე. მან მშვიდად თქვა, გემოვნებაზე ჩვენთან არ დაობენ, მაგრამ ასეც ხდება ხოლმეო. იმდენად მშვიდი იყო, რომ ეჭვი არაფერზე გამჩენია“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მკვლელობა გაუხსნელი რჩებოდა, ცოდვა გამხელილი სჯობსო და, სამართალდამცავებს მორიგი თავდასხმისა და მკვლელის მიერ შეცდომის დაშვების იმედი ჰქონდათ, თუმცა არც მორიგი თავდასხმა ჩანდა და საქმეც ნელ-ნელა თაროსკენ იწევდა, როგორც გაუხსნელი. ვერ გეტყვით, ახლა როგორ არის, მაგრამ ადრე, სანამ საქმეს დახურავდნენ, ყველა დეტალს ახლიდან გაივლიდნენ, გადაამოწმებდნენ, მოწმეებს დამატებით გამოჰკითხავდნენ და თუ რაიმე ახალი გამოჩნდებოდა, ძიება კიდევ ორი თვით გრძელდებოდა. ამჯერადაც ასე მოხდა, საქმე გადაათვალიერეს და აღმოაჩინეს, რომ სრული კომპლექტისთვის, მკვლელობის საქმეზე, მზარეული არ იყო დაკითხული ანუ პირი, ვისთანაც კონფლიქტი მოუვიდა გარდაცვლილს. ამიტომ, გამომძიებელი იმ სასადილოში წავიდა და აღმოაჩინა, რომ მზარეული კონფლიქტის მეორე დღესვე გაუგდიათ სამსახურიდან.

როგორც სასადილოს დირექტორმა ახსნა, მას კლიენტებთან მუდმივად უთანხმოება ჰქონდა, მარტივ კერძებში რაღაცეებს ამატებდა, იგონებდა, რაც კლიენტებს არ მოსწონდათ და მუდმივად ჩხუბობდნენ.

„მზარეულის სახელი და გვარი ჩავიწერე და პირი დავაღე. ეს ის მზარეული იყო, მეორე შემთხვევის დროს რომ დავკითხე ანუ ისე გამოვიდა, რომ მას ჯერ ამ სასადილოში ეჩხუბა კაცი და ის კაცი მოკლეს, შემდეგ სხვა სასადილოში აგინეს და ის კაცი კინაღამ მოკლეს. პროკურორთან ორდერზე წავედი, პირდაპირ დაპატიმრებას ვითხოვდი და პროკურორმაც, რომელიც ჩემი მეგობარი იყო და რაღაცებზე მეგობრულად თვალს ხუჭავდა, თანხმობა მომცა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

დაკავებულს პირდაპირ უთხრეს, მოწმე გვყავს, რომელმაც დაგინახა მეორე მკვლელობის მცდელობის დროს, პირველი მკვლელობა შენი ჩადენილი რომ არის, სადარბაზოში კედელზე დატოვებული ანაბეჭდებით დავამტკიცებთო. რაღა თქმა უნდა, გამოძიებას არც ანაბეჭდები ჰქონდა და არც თვითმხულველი იყო ვინმე, მაგრამ ამ მიდგომამ გაჭრა და მზარეულმაც მოყოლა დაიწყო.

„მე კულინარიის გენიოსი ვარ. საჭმელების მომზადება არა მარტო საქართველოში, არამედ, მსოფლიოში, ჩემზე უკეთ არავის შეუძლია. არცერთ დიდ რესტორანში არ მიმიღეს და სასადილოებშიც ამიტომ ვმუშაობდი. საუცხოო საკვებს ვაკეთებდი, ამ ადამიანებს კი გემო არ აქვთ და მუდმივად მაგინებდნენ, მეც სამსახურის გამოცვლა მიწევდა. ის კაცი იმიტომ მოვკალი, რომ ჩემი საფირმო სალათი გავაკეთე – „ვინეგრეტში“ ზეთისხილის ჩამატება მოვიფიქრე და მან კიდევ მაგინა, ზეთისხილი არ მიყვარსო. იმსახურებდა სიკვდილს. მეორეც იმსახურებდა, ნახევრად უმ ხორცს ბევრად უკეთესი გემო აქვს და იმან კიდევ, სისხლიანი ხორცი რატომ მაჭამეო. ვნანობ, რომ არ მოვკალი“, – ასე მარტივად ახსნა ყველაფერი მზარეულმა.

სანამ საქმე სასამართლოს გადაეცემოდა, დაკავებული ფსიქიატრებმა შეამოწმეს და დასკვნა დადეს – ჯანმრთელია! როგორც ჩანს, გემოს რეცეპტორებით ვერც მოსამართლე და პროკურორი დაიკვეხნიდნენ, რადგან განზრახ მკვლელობისთვისა და მკვლელობის მცდელობისთვის, დაკავებულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

შსს-მ „სირცხვილიას“ ოფისში მომხდარ, ტელეკომპანია „ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფზე თავდასხმის ფაქტზე, კიდევ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე, კიდევ ერთი პირი – 1992 წელს დაბადებული დ.კ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 5 ივლისს, ბრალდებულმა დ.კ.-მ, ორგანიზაცია „სირცხვილიას“ ოფისში, ტელეკომპანია „ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

5 ივლისს, მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველებმა სულ 20 პირი დააკავეს, მათ შორის, 5 – ტელეკომპანია „ტვ პირველის“ გადამღები ჯგუფის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის.

დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-დაკავების მიზნით, გრძელდება საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები.

სამეგრელოს პოლიციამ ფოთში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2002 წელს დაბადებული ბ.კ., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1999 წელს დაბადებულ ა.პ.-ს, ცივი იარაღით სხეულზე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

შსს-ს ინფორმაცია ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიებაზე

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, მამუკა ჭელიძემ, ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების შესახებ ბრიფინგი გამართა.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს, მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით. ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 200-ზე მეტი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება ჩაატარეს. გამოკითხულია 110 პირი.

დათვალიერებულია 65 ვიდეოსათვალთვალო კამერა. გარდაცვალების უშუალო მიზეზის დასადგენად დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელშიც ჩართულია ოჯახის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტი. ქიმიური დასკვნის თანახმად, გვამიდან აღებულ ნიმუშში აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალებები: „მორფინი“, „კოდეინი“, „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“, „გაბაპენტინი“ და „მონოაცეტილმორფინი“. ექსპერტიზის მიხედვით, გარდაცვალების მიზეზი შესაძლოა გამხდარიყო აღნიშნული საშუალებებით ზედოზირება.

აგრეთვე, ვასაჯაროებთ ალექსანდრე ლაშქარავას გადაადგილების მარშრუტს დეტალურად, რომელიც შედგენილია კერძო ობიექტებისა და „112“-ის ზოგადი ხედვის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების დათვალიერების შედეგად და დადასტურებულია მოწმეთა ჩვენებებით.

სისხლის სამართლის საქმეზე ამ ეტაპზე მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, შესაძლებელია, ითქვას შემდეგი: ალექსანდრე ლაშქარავა, 15:28 სთ-ზე, ფიქსირდება თავისი საცხოვრებელი სახლის მისამართზე – იოსელიანის ქუჩაზე, საიდანაც თავის მეგობართან ერთად, მიემართება ბახტრიონის ქუჩის მიმართულებით.

აღნიშნულის შემდეგ, მეგობართან ერთად, 15:31 სთ-ზე შედის ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ აფთიაქში, სადაც ყიდულობს ფსიქოტროპულ პრეპარატებს და ერთჯერადი გამოყენების შპრიცებს. ვიმეორებ, აღნიშნული დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

შემდეგ, ალექსანდრე ლაშქარავა, მეგობართან ერთად მიემართება ფონიჭალის დასახლებაში, ცურტაველის ქუჩის მიმართულებით, სადაც ფიქსირდება 16:31 სთ-ზე.

როგორც მოგეხსენებათ, იგი, მეგობართან ერთად, ფონიჭალაში ორჯერ ჩადის. მტკიცებულებებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ თანხას ტოვებს ნარკოტიკების შეძენის მიზნით და მეგობართან ერთად ბრუნდება ორთაჭალის მიმართულებით, ფიქსირდება ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე, სადაც ყიდულობს გარკვეულ პროდუქტებს. აღნიშნულის შემდეგ, მეგობართან ერთად, კვლავ ბრუნდება ორთაჭალიდან ფონიჭალის დასახლების მიმართულებით და ჩადიან ცურტაველის ქუჩაზე, 19:41 სთ-ზე, სადაც მოწმეთა ჩვენებების მიხედვით შეიძენენ ნარკოტიკულ საშუალებებს.

საქმის მტკიცებულებების მიხედვით, აღნიშნული მისამართიდან ბრუნდებიან ორთაჭალაში, კერძოდ, გორგასლის შესახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ერთ-ერთ ტყის მასივში მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს. ასევე, ჩვენებების მიხედვით, ალექსანდრე ლაშქარავა, მიღებული ნარკოტიკების გამო, ცუდად ხდება და მეგობარი ცდილობს მის დახმარებას. გარდა პირველი მცდელობისა, როდესაც ის თვითონ ცდილობს მოასულიეროს მეგობარი და ვერ ახერხებს ამას, მიმართავს იქვე არსებულ ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებას, რაც ასახულია ვიდეომასალაზე. ალექსანდრე ლაშქარავას მეგობარი სამედიცინო დაწესებულებაში, დახმარების მიზნით, ითხოვს ერთ-ერთ პრეპარატს – ე.წ. „ნარკანს“, რათა თავისი მეგობარი გამოიყვანოს მიღებული ნარკოტიკების შედეგად ზედოზირებიდან, რაც ასევე ასახულია ვიდეოკადრებში.

გარკვეული მიზეზების გამო, ის ვერ ახერხებს სამედიცინო დაწესებულებაში ალექსანდრე ლაშქარავას მიყვანას და თავადვე ბრუნდება მასთან, სადაც კვლავ ცდილობს დაეხმაროს ზედოზირების შედეგად თავის მეგობარს, რასაც ახერხებს, როგორც ჩვენებებიდან იკვეთება.

გარკვეული დროის შემდეგ, მოჰყავს გონებაზე და რამდენიმე წუთში, ერთად, ასევე მოპედის საშუალებით, 23:16 სთ-ზე, ბრუნდებიან დედაენის ბაღში, სადაც ალექსანდრე ლაშქარავა კიდევ ერთხელ ცუდად ხდება, რაც ასევე ასახულია კამერებზე და ეს ყველაფერი დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, ალექსანდრე ლაშქარავა ბრუნდება თავის საცხოვრებელ სახლთან და 00:10 სთ-ზე, გარე მეთვალყურეობის კამერებზე ჩანს, როგორ ადის სახლში.

დაახლოებით, დილის 06.00 საათზე, ოჯახის წევრები შეტყობინებას აკეთებენ სასწრაფოში. სასწრაფოს მისვლის დროს, სამწუხაროდ, სასწრაფოს ექიმებს ალექსანდრე ლაშქარავა გარდაცვლილი ხვდებათ, რის შემდეგაც იძახებენ პოლიციას.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ 5 ივლისს, ალექსანდრე ლაშქარავასთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისა და ჯგუფური ძალადობის მუქარით დევნის ფაქტზე, მიმდინარე გამოძიების პროცესში, დაკავებულია 5 პირი. შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს გამოძიებას და უწყება პერიოდულად მოგაწვდით ინფორმაციას.

აქვე მინდა, ხაზი გავუსვა გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია და გრაფიკა სრული მოცულობით შექმნილია საქმეზე დაკითხული ათეულობით მოწმის ჩვენებების საფუძველზე და ის გამყარებულია ვიდეომტკიცებულებებით, რომლებიც უკვე წარმოგიდგინეთ“, – განაცხადა ბრიფინგზე მამუკა ჭელიძემ.

მილიონი ლარი ჩემპიონს, ორი მედროშე და ოლიმპიადა მაყურებლების გარეშე

ტოკიოს ოლიმპიური თამაშები სტარტს 23 ივლისს აიღებს და 8 აგვისტოს დასრულდება. ორგანიზატორები მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ ამ დროისთვის, იაპონიაში ვირუსის გავრცელება, როგორმე მინიმუმამდე დაეყვანათ და გულშემატკივართა ნაწილს მაინც მისცემოდა პლანეტის უდიდეს სპორტულ ფორუმზე დასწრების უფლება, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. იაპონიის პრემიერ-მინისტრმა, იოსიჰიდე სუგამ გართულებული ეპიდვითარების გამო, 12 ივლისიდან 22 აგვისტოს ჩათვლით, ტოკიოში საგანგებო მდგომარეობა ოფიციალურად გამოაცხადა, რის გამოც „ტოკიო 2020“ მაყურებლის გარეშე ჩაივლის.

საქართველოს ოლიმპიური ნაკრები ტოკიოში 35 სპორტსმენით წარსდგება. ჩვენმა გუნდმა ფიცი უკვე დადო, პრემიერ-მინისტრსაც შეხვდა და სწორედ იქ გაირკვა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი მთავრობისგან მილიონ ლარს მიიღებს. სოციალურ ქსელებში ხუმრობენ, რომ ლაშა ტალახაძეს აღნიშნული თანხა უკვე ჩაურიხეს, რადგან ჩვენი ძალოსანი კონკურენციის გარეშეა და სასწაული უნდა მოხდეს, ოლიმპიადა ოქროს მედლით და რეკორდით რომ არ დაასრულოს.

რაც შეეხება მედროშეს, ერთობლივი გადაწყვეტილებით, ჩვენს გუნდს ორი მედროშე ეყოლება – ოლიმპიური ჩემპიონი, ლაშა ტალახაძე და ოლიმპიური ჩემპიონი, ნინო სალუქვაძე. სალუქვაძე თავის მეცხრე ოლიმპიადაზე იასპარეზებს და ამ კუთხით, ოლიმპიელ ქალთა შორის, რეკორდსმენი გახდება, სროლის ყველა სახეობაში კი რეკორდის თანაავტორია – 9 თამაშებზე იასპარეზა ლატვიელმა ტყვიის მსროლელმა აფანას კუზმინსმაც. ისე, ოლიმპიადებში მონაწილეობის რეკორდი ათჯერ მონაწილეობაა, რაც კანადელმა ცხენოსანმა, იან მილერმა მოახერხა.

ქართულმა კლუბებმა დაიწყეს და... სამმა უკვე დაამთავრა?

ქართულმა კლუბებმა ევროთასების ახალი სეზონი, წესისამებრ, საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყეს და პირველი შეხვედრები გამართეს. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში, შინ ითამაშა თბილისის „დინამომ“ და ბაქოს „ნეფთჩისთან“ 1:2 დამარცხდა. საპასუხო მატჩი ამ კვირაში ბაქოში გაიმართება და სურვილის მიუხედავად, ძალიან საეჭვოა, კახა ცხადაძის გუნდმა შემდეგ ეტაპზე გასვლა მოახერხოს.

სლოვაკეთში, „ჟილინასთან“ განადგურდა გორის „დილა“. შიდა ქართლელებმა 1:5 წააგეს და მეორე მატჩი სუფთა ფორმალობად იქცა. ასევე, სტუმრად, ჩერნოგორიაში, მინიმალური სხვაობით დამარცხდა „გაგრა“. პირველი ლიგის გუნდს შინ ორმატჩიანი დუელის გადარჩენის შანსი აქვს და ეს შანსი უნდა გამოიყენოს.

დასასრულს, როგორც დავაანონსეთ, საუცხოო მატჩი ჩაატარა გია გეგუჩაძის გუნდმა. ბათუმის „დინამომ“, სან მარინოს „ტრე პენეს“, გასვლაზე 4:0 მოუგო და საპასუხო შეხვედრას მშვიდად ელოდება. ამ ბარიერის დაძლევის შემდეგ, აჭარლებს მეტოქედ ბელორუსული „ბატე“ ჰყავთ და... ბათუმელებმა ეს ბარიერიც აუცილებლად უნდა გაიარონ.

კიდევ ერთი – ბათუმის „დინამოს“ შემტევი, ჯაბა ჯიღაური გახდა პირველი ფეხბურთელი მსოფლიოში, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის, ევროპა ლიგისა და კონფერენს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზებზე გოლი აქვს გატანილი.

ქართველი მოფარიკავეები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში, პარამოფარიკავეთა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. ეტლით მოსარგებლე ქართველი გოგონები აღნიშნულ პირველობაზე საოცრად გამოვიდნენ და ოქროს მედლები არავის დაუთმეს. გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს ჩემპიონები ირმა ხეცურიანი, ნინა თიბილაშვილი და გვანცა ზადიშვილი გახდნენ.

აქვე გეტყვით, რომ ტოკიოში, პარაოლიმპიადა 24 აგვისტოს დაიწყება და ამ ოლიმპიადაზე, ჩვენი ნაკრების მედროშე, მოფარიკავეთა გუნდის კაპიტანი, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი, ირმა ხეცურიანი იქნება.

უიმბლდონი ჯოკოვიჩმა მოიგო

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა, უიმბლდონის ფინალში, იტალიელი მატეო ბერეტინი 6:7, 6:4, 6:3, 6:3 დაამარცხა და დიდი სლემის მე-20 ტურნირი მოიგო, რითაც შვეიცარიელ როჯერ ფედერერსა და ესპანელ რაფაელ ნადალს გაუთანაბრდა. ნოლე ისეთ ფორმაშია, კიდევ ერთი დიდი მუზარადის ტურნირის მოგება არ უნდა გაუჭირდეს და ერთი შეხედვით, რაც წარმოუდგენელი ჩანდა, წარმოსადგენი გახდება – ის მსოფლიოში „გრანდ სლემების“ ტიტულებით პირველი გახდება.

ნოვაკმა უიმბლდონზე გამარჯვება მეექვსედ იზეიმა და ლონდონურ კორტებზე, ჯილდოების მხრივ, მხოლოდ ფედერერსა (8) და ამერიკელ პიტ სამპრასს (7) ჩამორჩება. მან აღნიშნული ტურნირი ზედიზედ მესამედ მოიგო, რაც დღევანდლამდე, მხოლოდ იმავე ფედერერმა, სამპრასმა და შვედმა ბიორნ ბორგმა შეძლეს. ჯამში, ჯოკოვიჩმა 85-ე ტიტული მოიპოვა და ამ მხრივ, კაცთა ჩოგბურთში მე-5 ადგილი უკავია ჯიმი კონორსის (109), ფედერერის (103), ივან ლენდლისა (94) და ნადალის (88) შემდეგ.

ჯოკოვიჩი ყველასთვის სანუკვარ კალენდარულ „დიდ სლემზე“ მიდის. წელს, მას უიმბლდონამდე, ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია პირველობებიც აქვს მოგებული. ბოლო ჩოგბურთელი კაცებში, ვინც ერთ წელიწადში, ოთხივე დიდი სლემი მოიგო, ავსტრალიელი როდ ლეივერი იყო და ეს ლამის ნახევარი საუკუნის წინ, 1969 წელს მოხდა.

ჯოკოვიჩის ტრიუმფამდე ერთი დღით ადრე, უიმბლდონზე, ქალთა ფინალში, ავსტრალიელმა ეშლი ბარტმა ჩეხი კაროლინა პლიშკოვა 6:3, 6:7, 6:3 დაამარცხა.

ნახევარი საუკუნის შემდეგ, იტალიამ ევროპა მოიგო

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი დასრულდა. დასრულდა ისე, როგორც ბევრი ელოდა – პირველ ტურში, თურქეთის 3:0 დამარცხების შემდეგ, ყველა ამბობდა, რომ იტალია საჩემპიონო თამაშს აჩვენებდა და ასეც აღმოჩნდა – რობერტო მანჩინის შეგირდებმა, კონტინენტის თასი აპენინების გზას ისტორიაში მეორედ გაუყენეს. პირველი ტრიუმფი 53 წლით ადრე იყო და აგერ, იტალიელებმა, ისტორიაში მეორედ მოიგეს ევროპის ჩემპიონატი. საინტერესოა, რომ იტალიას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ოთხჯერ აქვს მოგებული.

მართალია, მანჩინის ბიჭებმა ინგლისი პენალტების სერიაში გატეხეს, მაგრამ ეს მათ წარმატებას არანაირად არ აკნინებს. შეხვედრა ფრედ – 1:1 დასრულდა. ინგლისმა მესამე წუთზე შეაგდო და ამის შემდეგ, მთელი დარჩენილი დრო, სწორედ იტალიელები დომინირებდნენ. რაც შეეხება დანარჩენ ციფრებს: ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ჯანლუიჯი დონარუმა აღიარეს. ეს იყო მეორე შემთხვევა, როცა საუკეთესოდ მეკარე დაასახელეს. პირველი ფაქტი 1992 წელს დაფიქსირდა, როცა საუკეთესო პეტერ შმეიხელი გახდა. იმავე დონარუმამ, კარიერაში 5-დან 5 თერთმეტმეტრიანების სერია მოიგო.

ინგლისმა ტურნირზე 11 გოლი გაიტანა, რაც ევროპის ჩემპიონატებზე მისი რეკორდია.

იტალიამ „ევრო 2020“-ზე, 13 გოლი გაიტანა, რაც დიდ ტურნირებზე მისი რეკორდია.

ლუკ შოუმ ევროპირველობების ფინალში ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა. ის ევროს ისტორიაში, „მანჩესტერის“ პირველი ფეხბურთელია (?!), რომელმაც გოლი გაიტანა.

იტალიის ნაკრებმა გასული წლის სექტემბრის შემდეგ, პირველად გაუშვა გოლი და მისი 18-მატჩიანი გოლგაუშვებელი სერია შეწყდა.

36 წლის ჯორჯო კიელინი ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი კაპიტანია. მან ბუფონის რეკორდი დაამხო.

იტალია 34 მატჩის განმავლობაში დაუმარცხებელია – მსოფლიო რეკორდს ერთი მატჩი აშორებს, რეკორდი კი – 35-მატჩიანი წაუგებელი სერია, ესპანეთს ეკუთვნის.

საუკეთესო ბომბარდირი კრიშტიანო რონალდუ გახდა, რომელმაც 5 გოლი გაიტანა. ამდენივე შეაგდო ჩეხეთის ნაკრების ფორვარდმა პატრიკ შიკმაც, თუმცა რონალდუს უკეთესი დამატებითი მონაცემები ჰქონდა. კერძოდ, მან ერთი საგოლე გადაცემაც მიითვალა და კონკურენტზე ერთი თამაშით ნაკლები ჩაატარა.

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად 18 წლის ესპანელი პედრი დასახელდა.

2024 წლის ევროპის ჩემპიონატს გერმანია უმასპინძლებს.

როგორც იქნა, მესიმ სანაკრებო ტიტული მოიგო

1993 წელს, არგენტინის ნაკრებმა, „კოპა ამერიკის“ ფინალში, ლეგენდარული გაბრიელ ბატისტუტას დუბლით, მექსიკა 2:1 დაამარცხა და მას შემდეგ, ალბისელესტეს არანაირი ტიტული მოგებული არ ჰქონდა. ლიონელ მესის ვარსკვლავის აკიაფების შემდეგ, არგენტინა სამჯერ გავიდა იმავე „კოპა ამერიკის“ ფინალში, ერთხელ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალიც ითამაშა, მაგრამ ყველა შეხვედრაში დამარცხდა.

ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ არგენტინა ამ „კოპა ამერიკის“ ფინალშიც განწირული იყო. ტურნირი ბრაზილიაში გაიმართა და ფინალი ლეგენდარულ „მარაკანაზე“ შედგა, რაც არგენტინელებს უპირატესობას ნამდვილად არ აძლევდა, თუმცა თეთრ-ლურჯებმა ძალიან მოინდომეს და 28-წლიანი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, პირველი ტიტული მოიგეს. პირველი სანაკრებო ჯილდო აღმოჩნდა ეს მესისთვისაც, რომელმაც გამარჯვება გულწრფელი ცრემლით აღნიშნა.

რადგან ლიონელზე ვსაუბრობთ, ისიც ვთქვათ, რომ „ბარსელონაში“ მისი დარჩენის საკითხს დიდი კითხვის ნიშანი აქვს. მოგეხსენებათ, ლეოს გუნდთან მოქმედი კონტრაქტი 30 ივნისს დაუმთავრდა და მხარეები შეთანხმებას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ. საიმისოდ, რომ მთავარი ვარსკვლავი შეინარჩუნოს, „ბარსას“ 200 მილიონი ევრო სჭირდება, თუმცა გუნდს 1.2 მილიარდი ევროს ვალი აქვს და ახალი ვალის აღებას ვეღარ ახერხებს. შესაბამისად, გუნდმა რამდენიმე ფეხბურთელი უნდა გაყიდოს, რაც უკვე მესის არ აწყობს. ლეოს არა მარტო დარჩენა უნდა, არამედ, ამბიციური გუნდის მშენებლობაც და ამიტომ, წამყვანი მოთამაშეების გაყიდვის წინააღმდეგია. მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით აკვირდება „მანჩესტერ სიტის“ მფლობელი შეიხი მანსური, რომელმაც ლეოს კონტრაქტი გაუგზავნა, სადაც ხანგრძლივობისა და ანაზღაურების გრაფები ცარიელია და არგენტინელს შეუძლია, ნებისმიერი ციფრი ჩაწეროს. ბრიტანული მედიის ცნობით, შეიხი მზადაა, მესის კვირაში მილიონი ფუნტი გადაუხადოს, რაც ფეხბურთში, აქამდე გაუგონარი ხელფასია.

მაკგრეგორმა ფეხი მოიტეხა და დამარცხდა

გასული კვირა წესების გარეშე მებრძოლთა კლუბისთვის ძალზედ საინტერესო იყო. საჩემპიონო ტიტულისთვის ერთმანეთს კონორ მაკგრეგორი და დასტინ პორიე ხვდებოდნენ. აშკარა გახლდათ, შეხვედრა თვალსაჩინო უნდა გამოსულიყო და ასეც მოხდა – ორთაბრძოლა დაძაბულად მიმდინარეობდა, მაგრამ რად გინდა, ერთ-ერთ ეპიზოდში, ირლანდიელმა ფეხი ცუდად დადგა და კოჭში გადაიტეხა. შესაბამისად, ჩემპიონად პორიე დასახელდა.

ისტორია ამით არ დასრულებულა. ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მოკრივემ, ფლოიდ მეივეზერმა, მაკგრეგორთან პორიეს მოგებაზე, ფსონის სახით, 50 ათასი დოლარი დადო და 85 700 დოლარი მოიგო. ამის ამსახველი ფოტო მან სოციალურ ქსელშიც განათავსა და პორიეს მადლობაც გადაუხადა. მოგეხსენებათ, მეივეზერი და მაკგრეგორი ერთმანეთს ვერ იტანენ და მოკრივემ ირლანდიელს ამით სამაგიერო გადაუხადა, თუმცა... ჯერ ერთი, თუ ფლოიდი პორიეს გამარჯვებაში დარწმუნებული იყო, ბილეთი მანამდე უნდა გამოემზეურებინა, სანამ ბრძოლა დაიწყებოდა და მეორეც – მისი ქონება მილიარდად არის შეფასებული და 50 ათასი დოლარი ცოტა ხომ არაა?!

სარჩულში ჩავარდნილი ბეჭედი

ერევაზ მიშველაძე

აბა, მე გეტყვი ახლა: ყველა ქურდი არაა ერთნაირი, ქურდიც არის და ქურდიც, ქურდს გააჩნია.

ზოგი იმნაირი ოხერია, ფიორი ადამიანობა არ მიუცია გამჩენს. ღვთის პირიდან გადავარდნილს რო ეტყვიან, ისეთია ნამდვილად. ზოგი ხელცივია, მარა კაცათაა დაბადებული.

ოცი წლის წინანდელ ამბავს გიყვები. მაშინ გათხოვილი არ ვიყავი. საფერშლოზე ვსწავლობდი და ქე ვამთავრებდი იმ წელს.

ოთახი მაგერ მქონდა დაქირავებული, ნინოშვილის ქუჩაზე. მესამე ბიბლიოთეკა რო იყო, თუ გახსოვს, იმის პირდაპირ, მეშვიდე ჩიხში.

დედაჩემი ყოველი თვის ბოლოს ოთახის ქირას მიგზავნიდა. „კამერა ხრანენიაში“ ხონელი ქალი მუშაობდა, იმას მიუტანდა ჩამომტანი ფულს და ის მაძლევდა.

1992 წლის 14 იანვარი იყო. რა დამავიწყებს.

სასწავლებელში ძველით ახალი წლის ზეიმი მოგვიწყვეს და გვიანობამდე შევრჩი.

არ თოვდა, მარა ყინავდა. ქუთაისური წანწალია ამინდი, მოგეხსენება.

გამოცდების გამო სადგურში მისვლა შემაგვიანდა და მიბღვერდა ჩემი „ხაზეიკა“.

მე ვთქვი, ჩავალ სადგურზე, გამოვართმევ „კამერა ხრანენიაში“ იმ ქალს ფულს და სადგურიდან უფრო იქნება რამე ავტობუსი-მეთქი.

ტაქსის ფული სა მქონდა და ისე, გამვლელ მანქანაში, რავა ჩავჯდებოდი. ხო იცი, რა დრო იყო – ყოველ ნაბიჯზე ქურდობა-ყაჩაღობა და გატაცება-გაუპატიურება.

ფული ქე ევიღე მარა, სახლში წასვლა არ გინდა?

საათზე მეტი ვუცადე ავტობუსს, გაგიგონია? – სადაა ავტობუსი. ამასობაში ქე მევიდა პირველი საათი.

მე ვთქვი, შევბრუნდები სადგურში და მოსაცდელ „ზალაში“ გავათევ ღამეს-მეთქი, მარა გადამერეოდა „ხაზეიკა“. ღამის სხვაგან გათევა კი არა, დაგვიანებაზეც კი ერთ ამბავს ტეხავდა.

მოკლეთ, გავრისკე ფეხით წასვლა.

ჯერ სადგურის კიბე უნდა ჩამევიარო და მერე მთავარ ქუჩას უნდა დავადგე.

კიბის თავში ერთი ნათურა ბჟუტავდა. ქვევით იმნაირი სიბნელე იყო, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. შუა კიბეს დავადექი. თუ კიბე მშვიდობით ჩავამთავრე, მერეც შუა ქუჩაზე ვივლი, მარა ხიდზე გადასვლას რა მოვუხერხო. ხიდზე გადასვლის მეშინია ყველაზე მეტათ. ხიდთან იციანო ჯიბგირებმა დახვედრა, გაგონილი მქონდა. ე „ხაზეიკის“ ფული მაინც არ ემეღო.

სულ რაღაცა ცხრა-ათი საფეხური დამრჩა და „გამეჩითა“ ცხვირზექუდჩამოფხატული მაღალი ბიჭი. ხელში დანა არ უკავია, მარა რა შეღავათია ჩემთვის – გევიქცევი თუ რა. მუხლები მომეკვეთა.

ხმა არ ამეიღო, თვარა ბატკანივით გამოგჭრი ყელსო.

მომკიდა ხელი და მარჯვნისკენ მექაჩება.

არ ვიღებ ხმას, ბატონო, მარა მაქეთ რო მომკლა არ წამოვალ-მეთქი.

ამოატრიალე ჯიბეებიო.

ამოვატრიალე.

ცხვირსახოცი და ფული ხელში ერთად მიჭირავს, ეგება ვერ შეამჩნიოს-მეთქი.

ჯერ ჯიბეებზე მომითათუნა ხელი. პალტოს შიგნით ნაქსოვი ჟაკეტი მეცვა და ჯიბეებში რო ვერაფერი იპოვა, ხელში მეცა.

ქე ყოფილხარ პატარა ეშმაკი შენც, მარა არც მე ვარ ნაკლებიო.

მომუჭული ხელიდან ცხვირსახოცი და ფული ამაცალა. ცხვირსახოცი დამიბრუნა და ფული ქე დეიტოვა.

კისერზე მომისვა ხელი და ჯვარი დაქაჩა.

მეიცა, ნუ მომწყვიტე კისერი, მე თვითონ მოგცემ-მეთქი. გადევიძვრე ვერცხლისძეწკვიანი ოქროს ჯვარი თავზე და გავუწოდე.

– ე „ბროშკაც“ მეიხსენი, სათითაოდ რო არ გითხრა, შენ თვითონ ვერ უნდა მიხვდე? – გამწყრალი ხმით მითხრა, მათემატიკის მასწავლებელი რომ დაგტუქსავს, ისე.

„ბროშკა“ ძველთაძველი კამეა იყო. ბებიაჩემის ნაჩუქარია-მეთქი. ჟაკეტს ვიმაგრებდი ყელთან იმ „ბროშკით“. ქე დამწყდა გული, მარა მევიხსენი და მივეცი. არ მომკლას და „ბროშკას“ დევეძებ?

ხელები წინ გამაშვერია და ათივე თითი შემიმოწმა. მარცხენა შუათითზე ბეჭედს ისე მაგრად ჩამოუსვა ხელი, რომ სიმწრისგან კინაღამ ვიყვირე.

ჩქარა, ჩქარა მეიძვრე ე ბეჭედი, არ მცალია ამდენიო.

მამადლის კიდეც, რომ ჩემზე ამდენი დრო დახარჯა.

მივეცი ბეჭედი, რა მეტი გზა მქონდა.

– გათხოვილი ხარ თუ დანიშნული, – მეკითხება.

ჯერ ერთი, გათხოვილი, ან დანიშნული რო ვიყო, ბეჭედი მარჯვენა შუათითზე მექნებოდა. მეორეც, მაგი „კალიცო“ რო არაა, ქე უნდა ატყობდე, უბრალო ოქროს ბეჭედია და, მესამეც, გათხოვილი, ან დანიშნული რო ვიყო, ამ შუაღამეზე ვინ გამომიშობდა სახლიდან-მეთქი, ცოტა არ იყოს შევთამამდი მეც.

წადი ახლა და უკან არ მოიხედო. სახლში მისვლამდე არავის უთხრა ეს ამბავი.

მილიციასთან არ დაიკავო საქმე, თვარა მერე რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე ყველაფერიო.

გადავდგი სამი ნაბიჯი და გავჩერდი.

ვის ვუთხარი მე, უკან არ მოიხედოვო, გამიწყრა.

კი მარა, ჩემ სახლამდე კილომეტრნახევარი მაინც არი, რო დამხვდეს კიდო ვინმე შენნაირი, სა წევიდე მერე მე-მეთქი.

მე მგონია, აღარაფერი შეგრჩა წასართმევიო, იცინის.

შენ იცინი და მე სასაცილოთ არ მაქ საქმე. სხვა ქურდთან ლაპარაკის თავი აღარ მაქვს. რავარც გინდა, ამიყვანე ისევ სადგურში და ზალაში დამსვი-მეთქი, კატეგორიულად ვეუბნები.

რა გინდა სადგურშიო.

ღამეს გავათევ და დილით წავალ ჩემ გზაზე-მეთქი.

არაო, წამოგცდება იქანა მილიციასთან რამე და შენს თავსაც დეიღუპავ და მეც დამღუპავო. სახლი ხომ გაქვს, წაი სახლშიო.

ვინ მომცა სახლი აქანა, ნაქირავებში ვცხოვრობ ნინოშვილის ქუჩაზე-მეთქი.

საიდან ხარო.

ხონიდან-მეთქი.

კაი, წამოდი, მე მიგაცილებ სახლამდეო.

მომყვება კაი „კავალერივით“. ერთი-ორჯერ ხელიც ქე გადამდო მხარზე, მარა ჩამოვაღებიე.

ამხელა გზაზე მუნჯებივით ხომ არ ვივლიდით და ჩოვუკაკლე ქურდს; ვინ ვარ, სად ვსწავლობ, რამდენი წლის ვარ, მამა რო ცხენისწყალში დამეხჩო და დედა რო დამლაგებლათ მუშაობს წყალსადენში.

თავიდან, ცოტა არ იყოს, მეშინოდა, მარა მერედამერე შევთამამდი. ნინოშვილს რო დავადექით, რაღაცა გული მემეცა. ნამეტანი გულახდილათ ველაპარაკებით ერთმანეთს. მოვუშინაურდი, გოგო, ქურდს, გესმის შენე?

ხანდახან გავხედავ განზე ისე, შეუმჩნევლათ. არ ჩანს გლახა ბიჭი.

სხვათა შორის-მეთქი, ვეუბნები, შენ რო ფული წამართვი, ბინის ქირა იყო, დედაჩემი ხონიდან მიგზავნის. ერთ ამბავს დამაწევს „ხაზეიკა“, უბედურის ერთი ქალია, ამაღამ ფულს რო არ მივუტან-მეთქი, ვეუბნები ისე, სიტყვის მასალათ.

შენც ადექი და უთხარი, რომ დამეკარგაო, გამოსავალი იპოვა ქურდმა. მეხმარება ვითომ მისი ჭკუით.

ვინ ჭამს დაკარგვის ზღაპარს-მეთქი, ვეუბნები მე კაი გამოცდილივით.

გაჩერდა.

ამოიღო პლაშის ჯიბიდან ჩემი ფული და გამომიწოდა.

კი მარა, შენ-მეთქი?

ნამეტანი მიამიტურად და სულელურად ვეკითხები.

მე არა მიშავს, იოლას გავალო, დამაიმედა.

ამასობაში ვეტოია გოდუაძის სახლს გამოვცდით.

ისეთი მადლიერი ვარ ამ ბიჭის, თითქოს ეს ფული ჩემთვის ეჩუქებინოს. რაღაცნაირად ახლობელი გახდა უცებ, იმდენად ახლობელი, რო „პოდრუჩკიც“ კი გამოვდევი.

ჯვარი კი, არ დამიხედავს, ოქროს ჯვარი იყოვო? მეკითხება.

ნათლობის ჯვარია. ხუთი წლის მოვუნათლივართ, ჩემი ნათლია პოეტი ავთანდილ ყურაშვილია და იმის ნაჩუქარია. გაგიგონია ავთო ყურაშვილი-მეთქი?

რა თქმა უნდა, არ გაეგონა, მარა ნათლობის ჯვრის ამბავი, ასე თუ ისე, გულთან მიიტანა.

გამაჩერა. შემომატრიალა და მხრებზე ორივე ხელი დამადო.

არ მაკოცო, თვარა ვიკივლებ-მეთქი, შევაშინე.

ვინ გკოცნისო, შარვლის ჯიბიდან ჯვარი ამოიღო და ყელზე შემაბა. ვერცხლის ძეწკვის ჩახრახვნის დროს ხელი უკანკალებდა.

თავჩაქინდრულები, წყნარად, რაც შეიძლება, სერიოზული სახეებით მივაბიჯებთ. ქვაფენილზე მარტო ჩვენი ნაბიჯების ხმა ისმის.

ხანდახან ეზოს ძაღლები მოასკდებიან ჭიშკრებს, აქაოდა, ვინ ოხრები ხართ, ამ შუაღამეზე რას დაწანწალებთ ქუჩაშიო.

– ბებია ცოცხალი გყავს? – მეკითხება ქურდი.

– კიე, რატომ მეკითხები?

– არაფერი... ისე... კიბესთან რო მითხარი, „ბროშკა“ ბებიას ნაჩუქარიაო.

– ბებიას ნაჩუქარია, მარა აღარც ახსოვს მაგი ბებია-ჩემს. გქონდეს შენ. ძველთაძველი კამეაა, სწორათ ვთქვი სახელი? არ დაკარგო, მაგი ახლა დიდი ფული ღირსო, დედამ მითხრა ერთი-ორჯერ, მარა ვეტყვი, ტროლეიბუსში ამაცალა ვინცხამ-მეთქი. რას მიზამს, ხომ არ მომკლავს, მაგ ერთი „ბროშკის“ გულიზა.

ამოიღო ბროშკა და გამომიწოდა.

არ ვართმევდი, მარა ნუ გამაბრაზებ, თვარა გეილახებიო, სიყვარულნარევი საყვედურით მითხრა, მისკენ შემაბრუნა და თვითონ დამიბნია საკინძესთან ჟაკეტზე.

ამასობაში ჩემს ჩიხთან მივედით.

წაი ახლა შენ გზაზე, მოვედი მე... მეტზე არ გამყვე, თვარა დაგინახავენ-მეთქი.

თან გული მწყდება, რა მალე მოვსულვართ.

მადლობელი ვარ-მეთქი და ხელი გავუწოდე.

რისი მადლობაო? იცინის.

მეიცა, მგონი, კიდო მაქვს რაღაცა შენიო.

ბეჭედი გაქვს, მარა არა უშავს, არ მიყვარდა ეგ ბეჭედი, მაინც დიდი მქონდა-მეთქი.

მოიქექა ჯიბეები: პლაშის ოთხივე ჯიბე, შიგნით ნაქსოვი ჯემპრე ეცვა, უჯიბო, შარვლის სამივე ჯიბე... ვერა და ვერ იპოვა.

იმ ნერვიულობაში ხვარ ამომივარდაო, გაშრა კაცი.

ნუ ნერვიულობ, შენი ჭირი წაუღია, ცხოვრებაში მეტი არაფერი დაგეკარგოს-მეთქი, ვამშვიდებ.

რატო, თვარა კიო.

ერთხელ კიდევ დოუარა ჯიბეებს.

ამომივარდა ნამდვილათო, ხმაში სასოწარკვეთა გაერია.

ეგება, ხელები დამიბლაგვდა ამ ყინვაში, მოდი, ეგება შენ მოძებნო, ქალის ხელი მაინც სხვა არისო.

დგას მორჩილათ.

ვჩხრიკავ გულდაგულ.

ვინმემ რომ დამინახოს, გადეირევა.

ან ჩადების დროს ჩამიცურდა, ან გზაზე ამომივარდაო, აშკარად ეტყობა, რო წუხს. გავბრუნდეთ, იქ იქნება დავარდნილიო.

შენ ხვარ გადეირიე, მე ვუთხარი, შენს სანაცვლოდ წასულიყოს, რაც ბეჭედია ქვეყანაზე-მეთქი. წაი ახლა სახლში და მშვიდათ დეიძინე-მეთქი. არ მიღირს მე ის ბეჭედი შენს გაწვალებათ-მეთქი.

ვეუბნები, ქალო, და ჩემი თავის მე თვითონ მიკვირს. საიდან მოდის ეს სიტყვები, რა ძაფი გაიბა ჩვენს შორის ისეთი, რო ამ კაფანდარა ბიჭში ქურდს კი არა, უახლოეს ადამიანს ვხედავ.

კიდევ ერთხელ დოუარა ჯიბეებს და სიხარულისგან იყვირა:

– აგერაა! ვიპოვე რავარცხაა! პლაშის სარჩულში ჩავარდნილა. ასე არაფერი გამხარებია, დეიჯერებ შენე?! რო არ მეპოვა, რას იფიქრებდი ჩემზე...

გამოვართვი ბეჭედი და მოვტრიალდი.

იდგა და მიყურებდა.

გამოვიქეცი და ჩავეხუტე.

მეორე დღეს, მესამე დღეს, მთელი კვირა, მთელი წელი ვეძებდი, მაგრამ იმ ღამის მერე აღარ შემხვედრია.

ქორწილისთვის გასუქებას აპირებს

აშშ-ში, პენსილვანიის შტატში მცხოვრები, 26 წლის ჯესიკა უილსონი აპირებს, ქორწილამდე წონაში მოიმატოს და 270 კილოგრამს მიაღწიოს. ჯესიკას თქმით, წონაში ამდენის მომატება იმიტომ გადაწყვიტა, რომ საქმროს – 34 წლის ერიკ ბადენჰაგენს ოცნება აუსრულოს. წყვილმა გასულ ზაფხულს გაიცნო ერთმანეთი, როცა ჯესიკა, ჯერ კიდევ 204 კილოგრამს იწონიდა. საქმრომ მას წონაში მოსამატებლად „სიმაძღრის დღეები“ დაუწესა – ჩვეულებრივ დღეებში, საპატარძლო 5 ათას კალორიამდე იღებს, „ძღომის“ დღეებში კი – ორჯერ მეტს. თავად სასიძო 86 კილოს იწონის და გასუქებას არც აპირებს.

ბაზარზე მცენარეული ტყავი გამოჩნდა

იტალიურმა ბრენდმა Vegea-მ სტარტაპი წამოიწყო, რომლის ფარგლებშიც, ისინი ტყავს ხილისა და ბოსტნეულის ქერქებისგან მიიღებენ. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, მათი მიზანია, ტყავის დამზადებისას, დაზოგონ ენერგია და ხარჯებიც შეამცირონ. ცნობილია, რომ მცენარეული ტყავი მიიღეს სხვადასხვა პროდუქტის, მაგალითად, ანანასის, სოკოს, ბანანისა და ყურძნის გადამუშავებით. მიღებულ მასალას ისეთივე მახასითებლები აქვს, როგორც ცხოველურს. ბრენდის წარმომადგენლების თქმით, სატესტო ნიმუშმა კარგი შედეგი აჩვენა, ახალი ტყავი დიდი გამძლეობით გამოირჩევა და მას ავეჯისა და ავტომობილის სავარძლების დასამზადებლად გამოიყენებენ. ფირმის სპეციალისტების თქმით, მომავალში აპირებენ, წელიწადში 3 მილიარდი კვადრატული მეტრი პროდუქტი აწარმოონ.

სათვალეს თვალის წვეთები შეცვლის

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყოველ მესამე ევროპელს ახლომხედველობა აწუხებს. ამასთან, მხედველობის დარღვევის გამო, ადამიანი იძულებულია, სათვალე ან კონტაქტური ლინზები ატაროს. ამ მომენტისთვის, პრობლემის გადაჭრის მხოლოდ ერთი, პერმანენტული გზა არსებობს – რეფრაქტიული ქირურგია, რაც საკმაოდ ძვირია და გართულებებიც ახლავს, ხოლმე. მკვლევარებმა ისრაელიდან, ეს პრობლემა გადაჭრეს და შექმნეს თვალის წვეთები, რომელიც უახლოეს მომავალში, 100%-ით შეცვლის სათვალეს. ახალმა პრეპრატმა, რომელიც მოწინავე ნანოტექნოლოგიებით შეიქმნა, წარმატებით გაიარა ცდების სერია და დაამტკიცა თავისი ეფექტურობა ახლომხედველობისა და შორსმხედველობის მკურნალობის დროს. ებრაელი სწავლულების თქმით, ნანოწვეტები წარმატებით უმკლავდებიან მხედველობის დარღვევებს, რომლის მიზეზიც რქოვანას დაზიანებაა, მომავალში კი ის ნებისმიერი სახის სათვალეს შეცვლის. ახალი წვეთები დაპატენტებულია, როგორც ორიგინალური გამოგონება და წარმატებით გამოიცადა ცხოველებზე. კლინიკურ პრაქტიკაში კი ჯერჯერობით არ გამოიყენება – მკვლევარებმა უნდა დაადგინონ, მართლაც აბსოლუტურად უსაფრთხოა თუ არა ის ადამიანისთვის, ასევე, დასადგენია ჩაწვეთების სიხშირე და დოზები 100%-იანი ეფექტის მისაღებად. პირველი კლინიკური ცდების ჩატარება უკვე წლის ბოლოსთვის იგეგმება.

გლობალურ დათბობაზე ფულს „გააკეთებენ“

ჩვენს პლანეტაზე არსებულ ყველაზე დიდ კუნძულზე გადაწყვიტეს, რომ გლობალურ დათბობაზე ფული იშოვონ. აქაურები მყინვარის წყლის მასობრივ გაყიდვებს იწყებენ. ადგილობრივი ჩინოვნიკები აცხადებენ, რომ კლიმატური ცვლილებები, ერთი მხრივ, მყინვარების დნობას იწვევს, ხოლო მეორე მხრივ – პლანეტის სხვა წერტილებში, ძლიერი გვალვის პროვოცირებას ახდენს. შესაბამისად, ბუნებრივია, გვინდა, წყალი მივაწოდოთ იმ ადგილებში, სადაც მისი ნაკლებობაა. ყინულების წყლის ექსპორტზე ლიცენზია 9 გრენლანდიურმა კომპანიამ მოიპოვა. გასულ წელს, კუნძულზე მყინვარების რეკორდული დნობა აღინიშნა, მხოლოდ ივლისის ბოლოს, ერთ დღეში ამ მაჩვენებელმა 12.5 მილიარდი ტონა შეადგინა.

ინფარქტის მოახლოებას თმა მიგვანიშნებს



ისრაელში, ერთ-ერთ კლინიკაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე, სულ მალე, ადრეული ინფარქტის დიაგნოსტიკის ახალ მეთოდიკას შეიმუშავებენ. დიაგნოზის დასასმელად, ოჯახის ექიმს პაციენტის თმის ერთი ღერი დასჭირდება. მედიკოსებისთვის ცნობილია, რომ ინფარქტამდე და საერთოდ, გულის დაავადებამდე, შესაძლოა, დაგროვილმა სტრესმა მიგვიყვანოს, მაგრამ ყოველი ადამიანი სხვადასხვაგვარად რეაგირებს პრობლემებზე ოჯახსა თუ სამსახურში. შესაბამისად, სპეციალისტები ვერ ახერხებდნენ, „სტრესის“ დონის გაზომვის ზუსტი მეთოდი ეპოვათ და ვერც იმას იგებდნენ, როდის აღწევდა ის „წითელ ზღვარს“. ებრაელმა ექიმებმა, კანადელი კოლეგების მიერ დამუშავებული მეთოდიკა გამოიყენეს და გადაწყვიტეს, შეემოწმებინათ კორტიზონის დონე 150 პაციენტის თმაში, რომელთაც გულის პრობლემები ჰქონდათ და გაერკვიათ, როგორც იცვლება ამ „სტრესის ჰორმონის“ დონე ორგანიზმში. ვინაიდან თმა თავზე თვეში ერთი სანტიმეტრის სიჩქარით იზრდება, პაციენტების ორი ჯგუფისგან თმის 3 სანტიმეტრის სიგრძის ნიმუშები აიღეს. პირველ ჯგუფში ის ავადმყოფები იყვნენ, რომლებიც საავადმყოფოში გულის პრობლემების გამო მოხვდნენ, მეორეში – თერაპიული განყოფილების პაციენტები. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ პირველი ჯგუფის პაციენტებში, კორტიზონის დონე რამდენჯერმე აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. კარდიოლოგები აცხადებენ, რომ ჯერჯერობით მხოლოდ კვლევების წინასწარ შედეგებზეა ლაპარაკი, რომელიც კიდევ უნდა შემოწმდეს. ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე, ისრაელის კლინიკების ასობით პაციენტი მიიღებს მონაწილეობას. მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ ძალიან მალე, მედიკოსები სტრესის დონეს მარტივი ანალიზის საშუალებით განსაზღვრავენ და საშუალება მიეცემათ, დროულად დაიწყოს მოსალოდნელი ინფარქტის პროფილაქტიკური მკურნალობა.

ჭიქა ღვინო თირკმელებს იცავს

თუ ყოველდღიურად, ადამიანი ერთ ბოკალ ნებისმიერ ღვინოს მიირთმევს, ორგანიზმს თირკმელების დაავადებისგან დაიცავს, ხოლო თუ ასეთი სენი უკვე არსებობს, ამ შემთხვევაში, ღვინო გულს დაიცავს – მიაჩნიათ კოლორადო-დენვერის უნივერსიტეტის მკვლევარებს. სწავლულებმა კველევის საშუალებით დაამტკიცეს, რომ ღვინის მოხმარება, დღეში მხოლოდ ერთი ჭიქის მოცულობით, თირკმლის ქრონიკულ დაავადებებს 37%-ით აქვეითებს იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც საერთოდ არ სვამენ ღვინოს. უკვე განვითარებული დაავადებების მქონე პაციენტებში, გულის პრობლემები 29%-ით იკლებს. ღვინის სასარგებლო თვისებები განპირობებულია მასში სპირტისა და ანტიოქსიდანტების შემცველობით. მთლიანობაში, ღვინოს შეუძლია გაზარდოს ლიპოპროტეინების („კარგი ქოლესტერინი“) დონე და ამით არტერიები დაიცვას დაზიანებისგან. ბოლო გამოკვლევებისას, სწავლულებს არ უცდიათ, ამ მხრივ განსხვავება ეპოვათ შავსა და თეთრ ღვინოს შორის. მთლიანობაში, ღვინის თირკმელებზე ზემოქმედების ზუსტი მექანიზმი უცნობია.

უფასო სასმელი – წონის მიხედვით

დუბაიში მდებარე ბარში Fusion Club, უჩვეულო აქცია დაიწყო – დაწესებულება მანდილოსნებს უფასო სასმელს სთავაზობს, რომლის რაოდენობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენს იწონის მშვენიერი სქესის წარმომადგენელი. წონის ყოველ კილოგრამზე, მანდილოსანი იღებს ერთ დირჰამს (1 დოლარი – 3.67 დირჰამი). ამგვარად, რაც უფრო მეტს იწონის ქალი, მით მეტ თანხას იღებს და შესაბამისად – სასმელსაც. კლიენტებს საკუთარი წონის დაფიქსირება ბარის შესასვლელთან შეუძლიათ, ანდა ფურცელზე უნდა დაწერონ და ბარმენს მისცენ. განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ დაწესებულების თანამშრომლები სრულად ენდობიან კლიენტ ქალბატონებს და მათ სასწორზე შედგომას არ აძალებენ. აქცია სასმელების მთელ ასორტიმენტზე ვრცელდება და ის წლის ბოლომდე გაგრძელდება.

კარიესს ლაქით შეებრძოლებიან

ჩინეთის ერთ-ერთი სამედიცინო უნივერსიტეტის სწავლულებმა, კბილებისთვის დამცავი საფარი შექმნეს, რომელიც კარიესის წარმოქმნას უშლის ხელს. სპეციალისტებმა იმ ანტიმიკრობული პეპტიდის H5 მოდიფიცირება შეძლეს, რომელსაც ადამიანის ნერწყვი შეიცავს. პეპტიდური ლაქი კბილებზე დამცავ ფენას ქმნის და მას კარიესის წარმომშობი ბაქტერიებისგან იცავს. მკვლევართა თქმით, ნივთიერება აღწევს კბილის ემალში და მის აღდგენასაც კი ახერხებს – კალციუმის იონების მეტად მიზიდვით. სწავლულებმა ლაქი ფესვიან კბილებზეც გამოსცადეს. ტესტებმა აჩვენა, რომ პეპტიდის გაუმჯობესებული ვერსია, კბილებზე დიდი ხნის განმავლობაში ქმნის ანტიმიკრობულ ფენას და მას დემინერალიზაციისგან იცავს. მკვლევართა თქმით, პეპტიდური ლაქი არ კურნავს უკვე არსებულ კარიესს, მაგრამ ახლის წარმოქმნას უშლის ხელს.

გაზიან სასმელებში საშიში კანცეროგენი აღმოაჩინეს

კარამელის საღებავი, რომელსაც ხშირად იყენებენ ნეკერჩხლის სიროფის დასამზადებლად, კანცეროგენულ ნაერთს შეიცავს, რომელიც 4-Mel-ის (4-მეთილმიდაზოლი) სახელითაა ცნობილი. შესაბამისად, ამ საღებავის შემცველი პროდუქტები სიმსივნის განვითარების რისკს ზრდის. აღსანიშნავია, რომ იგივე ინგრედიენტია პასუხისმგებელი „კოლა-კოლას“ დამახასიათებელ ფერზე. საკვებ მრეწველობაში სულ ოთხი საღებავი გამოიყენება და მხოლოდ ორ მათგანშია 4-Mel-ი. ამასთან, პროდუქტის მწარმოებელი კომპანიები არ უთითებენ, კონკრეტულად რომელ საღებავს შეიცავს მათი ესა თუ ის ნაწარმი. 4-მეთილმიდაზოლი ყურადღების არეში მას შემდეგ მოექცა, რაც ჩატარებულმა ტესტებმა „პეპსისა“ და „გოიაში“, ამ ნაერთის დასაშვებ მაქსიმუმზე მეტი რაოდენობა გამოავლინეს. მთლიანობაში, ექსპერტებმა ხუთი სხვადასხვა მწარმოებლის 81 დასახელებაზე მეტი გაზიანი სასმელი შეამოწმეს. მკვლევარებმა ნეკერჩხლის სიროფიც გამოიკვლიეს – მასში სულ 0.7 მიკროგრამი საშიში ნაერთი აღმოჩნდა. სპეციალისტების მტკიცებით, სიროფი ნაკლებსაშიშია იმ მიზეზით, რომ მისი მოხმარების მასშტაბები მცირეა და გაზიანი სასმელებისას ვერც კი შეედრება. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს, მწარმოებლებმა შეამცირეს კანცეროგენის შემცველობის დონე საკუთარ პროდუქციაში. 4-Mel-ის ზუსტად რა მოცულობა იწვევს სიმსივნურ მუტაციებს, სწავლულებს არ განუცხადებიათ.

ჰომეოპათია ჯანმრთელობას ვნებს

თავისი მოქმედებით, ჰომეოპათიური პრეპარატები პლაცებოსგან არ განსხვავდებიან და შესაძლოა, ამან ორგანიზმს ზიანიც კი მიაყენოს – ამ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიელი მეცნიერები, ჩატარებული კვლევების შედეგად. ექიმი-ჰომეოპატები ამბობენ, რომ მათი პრეპარატები დაავადებათა ფართო სპექტრის შველის – უბრალო გაციებიდან დაწყებული, ონკოლოგიით დამთავრებული. მკვლევარებმა შეამოწმეს ჰომეოპათიური პრეპარატების ზემოქმედება ასთმით, ართრიტით დაავადებულებზე, ასევე, მათზე, რომლებსაც უძილობა აწუხებთ, გაციებულ და გრიპის მქონე პაციენტებზე, ქრონიკული დაღლილობისას, ეგზემას, ქოლერას, დამწვრობის, მალარიისა და ჰეროინზე დამოკიდებულების დროსაც კი. აღმოჩნდა, რომ არცერთ შემთხვევაში, ჰომეოპათიურ წამლებს დადებითი ეფექტი არ გამოუვლენიათ. საგულდაგულოდ შემუშავებულმა კვლევებმა და მონაწილეების საკმარისმა რაოდენობამ აჩვენა, რომ ჰომეოპათია პლაცებოზე მეტი არაფრითაა – აღნიშნავენ სწავლულები. მათი თქმით, ადამიანები, რომლებიც კონვენციონალური მედიცინის ნაცვლად, ჰომეოპათიას ირჩევენ, საკუთარ ჯანმრთელობას დიდი რისკის ქვეშ აყენებენ. ამ შემთხვევაში, პაციენტი უარს ამბობს მიიღოს, ან დაგვიანებით იღებს იმ წამლებს, რომელთა ეფექტურობა და უსაფრთხოება უკვე დამტკიცებულია.

ხილის ხშირი მიღება კიბოს აგვარიდებს

სწავლულებმა დიდი ბრიტანეთიდან, რომელთაც ერთდროულად რამდენიმე გამოკვლევა ჩაატარეს და დაასკვნეს, რომ ხილის ხშირი მიღება ძალიან სასარგებლოა ორგანიზმისთვის. მკვლევარების განცხადებით, თუ ყოველდღიურად, ადამიანი შვიდი სხვადასხვა სახეობის ხილს მიირთმევს, ეს საგრძნობლად ამცირებს ონკოლოგიური და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს. ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევები, დაახლოებით, 12 წელიწადს გრძელდებოდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, დეტალურად შეისწავლეს კვლევაში მონაწილე ადამიანების საკვების მოხმარების ჩვევები, რომლებიც იმ მომენტისთვის შესანიშნავ ფიზიკურ მდგომარეობაში იყვნენ. სწავლულების თქმით, 30-დან 65 წლის ასაკში, ყოველდღიურად ხილის მცირე რაოდენობის მიღებაც კი, არსებითად ამაღლებს ცხოვრების დონეს. მათი განცხადებით, მოწიფულ ასაკში მყოფებმა თავი უფრო უკეთესად რომ იგრძნონ, საკმარისია ყოველდღიურ რაციონში, გემრიელი ხილი დაამატონ, მაგალითად, ბანანი და ვაშლი, რომელიც რკინას, თუთიასა და სპილენძს შეიცავს. სწორედ ეს კომპონენტები აისახება სასიკეთოდ გულისა და სხვა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებზე.

პიცაში ჩაფურთხებისთვის ციხე ელის

18-წლიანი პატიმრობა ემუქრება კურიერს თურქეთში, რადგან ვიდრე კლიენტს მიუტანდა, მან პიცაში ჩააფურთხა. შემკვეთმა ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეიტყო, როცა სახლის წინ დაყენებული ვიდეოკამერის ჩანაწერებს ათვალიერებდა. ბრალდების მხარე კურიერისთვის ხანგრძლივ საპატიმრო ვადას ითხოვს, რადგან მან საფრთხის ქვეშ დააყენა ადამიანის ჯანმრთელობა, დაცვის მხარე კი 2-დან 18 წლამდე პატიმრობას ძალიან მკაცრად მიიჩნევს. ტერორისტებთან კავშირისთვისაც კი, თურქეთში უფრო ნაკლები სასჯელია – 15 წელი. რა მიზეზით ჩაუფურთხა უკვე ყოფილმა კურიერმა კლიენტს შეკვეთილ პიცაში, ბრალდებული არ ამხელს.

პირველი ფაბრიკა ხელოვნური ხორცისთვის

ისრაელში, კომპანია Future Meat Technologies-მა, ხელოვნური ხორცის წარმოებისთვის, მსოფლიოში პირველი ფაბრიკა გახსნა. ამ დაწესებულებაში, ყოველდღიურად, 500 კილოგრამ კულტივირებულ ქათმის, ღორისა და ცხვრის ხორცს აწარმოებენ. ხორცის ეს რაოდენობა საკმარისია 5 ათასი ჰამბურგერის დასამზადებლად. ებრაული კომპანია ხელოვნურ ხორცს სპეციალურ ბიორეაქტორებში შექმნილი უჯრედებისგან ამზადებს. საამისოდ კი იმ ნივთიერებებს იყენებენ, რითაც ცხოველებს კვებავენ. კომპანიის ტექნოლოგებმა პროდუქტის დამზადების ისეთი პროცესი შეიმუშავეს, რომელიც 80%-ით ამცირებს გარემოში ნახშირორჟანგისა და 96%-ით – წყლის გამოყოფას.

ჩიფსები გულისთვის საშიშია

ამერიკელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რა გავლენას ახდენს ჩიფსები ადამიანის ჯანმრთელობაზე. მათი თქმით, ის ზრდის გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკს და სიცოცხლის ხანგრძლივობას ამცირებს. კვლევა 11 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში 21 500 მოხალისე მონაწილეობდა. ისინი ორ ჯგუფად დაყვეს. ერთი ნაწილი წასახემსებლად ნატურალურ პროდუქტებს (მარცვლეული, ხილი და რძის ნაწარმი) იღებდა, მეორე – ეგრეთ წოდებულ „სნექებს“, რომელიც დიდი რაოდენობით სახამებელს შეიცავს, მათ შორის, კარტოფილის ჩიფსებს. კვლევის შედეგების თანახმად, გულსისხლძარღვთა დაავადებებისგან გარდაცვალების რისკი 57%-ით მეტი, სწორედ მოხალისეთა მეორე ჯგუფში იყო. რაც შეეხება პირველ ჯგუფს, იქ კიბოს განვითარების რისკიც კი ძალიან დაბალი გახლდათ. მკვლევართა თქმით, თუ ადამიანი მთავარი კვების შემდეგ, დიდი რაოდენობით სახამებლის შემცველ პროდუქტებს იღებს, მნიშვნელოვნად გაზრდის გულის დაავადებათა განვითარების რისკს.

კორეული პოპი სკოლის პროგრამაში შეიტანეს

სამხრეთ კორეის სკოლებმა, სწავლების პროგრამაში შეიტანეს საცეკვაო K-პოპ-გაკვეთილები. ამ მუსიკალური ჟანრის საერთაშორისო წარმატებამ განაპირობა მისი აღიარება სახელმწიფო დონეზე. IT-ინდუსტრიასთან ერთად, K-პოპი პერსპექტიულ სფეროდ განიხილება, რომელიც მუდმუივად ფართოვდება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაც შეუძლია. გასულ წელს, ბიჭების პოპულარული ბენდის – BTS-ის მხოლოდ ერთმა კომპოზიციამ – Dynamite, სამხრეთ კორეას 1.5 მილიარდ დოლარამდე შემოსავალი მოუტანა. მშობელთა უმრავლესობაც მხარს უჭერს K-პოპ-გაკვეთილების დანერგვას სასკოლო პროგრამაში. მიაჩნიათ, რომ ბავშვებს საშუალება ექნებათ, გამოავლინონ საკუთარი ნიჭი და მომავალში კარიერა აიწყონ. ამიერიდან, კორეელი ბავშვები K-პოპ-კულტურას ეზიარებიან არა მხოლოდ სპეციალიზებულ სასწავლო დაწესებულებებში, არამედ, საშუალო სკოლებშიც. მოსწავლეებს, სავარაუდოდ, ვოკალისა და პლასტიკის გაკვეთილები ჩაუტარდებათ. გარდა ამისა, ასწავლიან სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრას და ხმის რეჟისურის ანა-ბანასაც.

მეუღლეებს ერთად ძილს არ ურჩევენ

რა უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, სწავლულები მამაკაცებს მეუღლესთან ერთად ძილს არ ურჩევენ. მკვლევარებმა „მწვანე კონტინენტიდან“ დაადგინეს, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენელი სრულყოფილად ვერ დაისვენებს, თუკი ის სარეცელს ვინმესთან ერთად გაიყოფს. არასრულფასოვანი ძილი კი მეორე დღეს, უარყოფითად აისახება, როგორც მის სამუშაო პროცესზე, ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც. სწავლულები გვარწმუნებენ, რომ პარტნიორთან ერთად წოლა და ძილი მამაკაცებში სტრესის ჰორმონის გამომუშავებას აძლიერებს, რის გამოც, ის უფრო ადვილად ღიზიანდება. მიუხედავად ამისა, სოციოლოგიური კვლევები ამტკიცებს, რომ მარტო წოლას, მამაკაცებს მაინც საყვარელ ქალთან ერთად ყოფნა ურჩევნიათ. არადა, კვლევებით ისიც დამტკიცებულია, რომ ამ პერიოდში, მათი გონებრივი აქტიურობა მხოლოდ იკლებს.

კოვიდს კიდევ ერთი ვაქცინა შეებრძოლება

ამ დაუსრულებელი კოვიდპანდემიის პერიოდში, სულ მალე, უკვე არსებულ ვაქცინებს კიდევ ერთი შეემატება. წლის ბოლოს, წამლის მწარმოებელი ფრანგული კომპანია Sanofi, ბრიტანულ ფარმაცევტულ კომპანია Glaxo Smith Kline-თან ერთად, მსოფლიოს ახალ პრეპარატს შესთავაზებს. ამის თაობაზე ფრანგული ფირმის პრეზიდენტმა განაცხადა. ახალი პრეპარატის კლინიკური ცდების მეორე ეტაპმა აჩვენა, რომ ვაქცინა ძლიერ იმუნურ პასუხს იწვევს, მისმა ეფექტურობამ კი 95%-დან 100%მდე შეადგინა. ამჟამად, კლინიკური ცდების მესამე ეტაპი მიმდინარეობს, რომელშიც 35 ათასი ადამიანი მონაწილეობს. ფრანკო-ბრიტანული პრეპარატი რეკომბინანტულ ცილებზეა დაფუძნებული ისევე, როგორც Pfizer-ისა და Moderna-ს ვაქცინები. მისი მეორე დოზა 21 დღის შემდეგ კეთდება. ახალი პრეპარატის ავტორებმა უკვე დადეს შეთანხმება შესყიდვებზე აშშ-თან, ევროკავშირის ქვეყნებთან, კანადასა და დიდ ბრიტანეთთან, ასევე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგრამა COVAX-თან.

დაინფიცირებას პირბადით დაადგენთ



ამერიკელმა სწავლულებმა ჰარვარდიდან და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან, ახალი დამცავი ნიღაბი შექმნეს, რომელიც 90 წუთის განმავლობაში დაადგენს, დაავადებულია თუ არა ადამიანი COVID-19-ით. პირბადე აღჭურვილია მინიატურული გადამცემებით – ის შეიძლება მიმართოთ სხვადასხვა ბაქტერიის აღმოსაჩენად და გამოიყენოთ არა მხოლოდ კორონავირუსის ტესტისთვის. კოვიდის შემთხვევაში, გადამცემები ამოიცნობენ ვირუსის ნაწილაკებს ადამიანის სუნთქვაში. ტესტის შედეგი პირბადის მხოლოდ შიდა მხარეს ჩანს და იცავს პაციენტის კონფიდენციალურობას. სიახლის ავტორები აღნიშნავენ, რომ გადამცემები, გარდა ნიღბისა, შესაძლებელია, ლაბორატორიულ ხალათზე ან სხვა ტანსაცმელზეც განთავსდეს, რაც ადამიანებს სხვადასხვა პათოგენებისა და ტოქსიკური ქიმიკატებისგან დაიცავს. სწავლულებმა ქსოვილის ასობით სახეობა შეამოწმეს – ბამბისა და აბრეშუმის ჩათვლით, იმის გასარკვევად, სად იმუშავებდა ტექნოლოგია ყველაზე უკეთ. საუკეთესო ვარიანტი პოლიესტერი და სხვა სინთეტიკური ბოჭკოების შემცველი მასალა ამოჩნდა. პირბადის ავტორებმა პატენტზე განაცხადი უკვე შეიტანეს და იმედოვნებენ, რომ უახლოეს მომავალში, ის ხელისაწვდომი იქნება გლობალურ დონეზე.

მოგებული ფულით ბოჩოლები იყიდა

ირლანდიელმა მოსწავლემ, 10 წლის უილიამ ვუდსმა, ერთ-ერთ საშობაო გათამაშებაში 1 000 ევრო მოიგო და ამ ფულით ბოჩოლები იყიდა. თავიდან ბიჭს ფულის გადადება სურდა კოლეჯისთვის, მაგრამ მერე გადაწყვიტა, რომ პირუტყვის ყიდვა მის ოჯახს უფრო მეტ სარგებელს მოუტანდა. უილიამი ხბოების გაზრდას და მერე გაყიდვას აპირებს, რათა კიდევ უფრო მეტი ძროხა შეიძინოს. ბავშვი აღიარებს, რომ ცხოველების მოვლა ძნელი ყოფილა, თუმცა ძალიან კმაყოფილია და მუშაობას არ უშინდება. პატარა ბიზნესმენი იმასაც ამბობს, რომ კორონავირუსის პირობებში, მეგობრებთან ურთიერთობა ძალიან აკლდა. ახლა კი, მათ ნაცვლად, მეგობრობას ხბოები გაუწევენ. „მათთან ერთად ვირბენ მინდორში და ვიცინებ“, – ამბობს ბედნიერი უილიამი. ბავშვის გადაწყვეტილებით მშობლებიც კმაყოფილები არიან – მისთვის ეს დროის ჯანსაღად გატარების საშუალებაა, თან ფულის ყადრსაც ისწავლის – ამბობს ბიჭის დედა.

სხვენში დამოუკიდებლობის დეკლარაცია იპოვა

შოტლანდიაში, ედინბურგში მცხოვრებმა ქალბატონმა, საკუთარი სახლის სხვენში, აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ასლი იპოვა და გამდიდრდა. დოკუმენტი იშვიათი წიგნების სპეციალისტმა, კეტი მარსდენმა მაშინ აღმოაჩინა, როცა სახლის სხვენს ალაგებდა. ქალმა დეკლარაცია მეორე დღესვე სამსახურში წაიღო, სადაც ხანგრძლივი კვლევის შემდეგ, დოკუმენტის ნამდვილობა დადასტურდა. ეს დეკლარაცია ერთ-ერთია იმ 201 ასლიდან, რომელიც 1820-იან წლებში, აშშ-ს სენატის დაკვეთით, უილიამ სტოუნმა შექმნა. დღეისთვის, ამ სერიის მხოლოდ 48 დოკუმენტია ნაპოვნი. ცოტა ხნის წინ, სხვენზე აღმოჩენილი დეკლარაცია კეტიმ აუქციონზე, 4 420 000 დოლარად გაყიდა.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.